

შპს „არქიმედეს კლინიკის“
2024 წლის მმართველობითი ანგარიში

შინაარსი:

-  ზოგადი ინფორმაცია;
-  კომპანიის მართვა;
-  სამედიცინო საქმიანობა / რისკები / სამომავლო გეგმები;

 ზოგადი ინფორმაცია

შპს „არქიმედეს კლინიკა“ (საიდ. კოდი: 404869567;) (შემდგომში „კლინიკა“) დაფუძნდა 2010 წლის 12 აგვისტოს (პირველადი რეგისტრაციის თარიღი) სააქციო საზოგადოება „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია“-ს (საიდ. კოდი: 204543869;) 100 % -იანი წილობრივი მონაწილეობით. იურიდიულ მისამართად განისაზღვრა: საქართველო, ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. №34. პირველადი რეგისტრაციის შესაბამისად, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვნენ დირექტორი - ნიკოლოზ რამიშვილი და დირექტორი - იარონ მორდესაი ინზარი, რომლებიც საზოგადოების წესდების შესაბამისად ერთობლივად ახორციელებდნენ მათზე მინიჭებულ/დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.

კლინიკის საქმიანობის სახედ განისაზღვრა სამედიცინო მომსახურება : სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობა, ასევე, ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც ნებადართულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

2011 წლის 11 აგვისტოს სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში შევიდა ცვლილება, კერძოდ, შეიცვალა ხელმძღვანელობაზე/ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და კლინიკის დირექტორად დაინიშნა - თეა ახალაძე. აღნიშნული ცვლილების შემდეგაც შეიცვალა კლინიკის ხელმძღვანელი პირები და დღეის მდგომარეობით, საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული მონაცემების შესაბამისად, კლინიკის ხელმძღვანელობაზე /

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან დირექტორები: კახაბერ ვარადაშვილი და ნინო აკობიძე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კლინიკის 100 % წილის მესაკუთრე დამფუძნებელს - სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ (შემდგომში „სადაზღვევო კომპანია“) შორის, 2010 წლის 13 ივლისს, 2012 წლის 31 ივლისს, 2010 წლის 17 ივნისს, 2010 წლის 27 ივლისს და 2010 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე, ახალი საავადმყოფოების აშენების მიზნით პირობადადებულ საკუთრებაში გადაეცა ქ. ლაგოდეხში, ქ. წნორში, ქ. დედოფლისწყაროში და ქ. სენაკში მდებარე უძრავი ქონებები. სადაზღვევო კომპანიამ მითითებული ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე, გადმოცემული უძრავი ქონების ბაზაზე, ქ. ლაგოდეხში, ქ. წნორსა და ქ. სენაკში უზრუნველყო ახალი, მრავალპროფილიანი საავადმყოფოების აშენება, შესაბამისი წესით ექსპლოატაციაში მიღება და საავადმყოფოების ფუნქციონირებისათვის საჭირო სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილება (რაც შეეხება, დედოფლისწყაროს, დღეის მდგომარეობით ახალი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოები დროებით შეჩერებულია).

აღნიშნულის შემდეგ, რამდენადაც, სადაზღვევო კომპანია (როგორც ნასყიდობის ხელშეკრულებების მხარე) „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, წარმოადგენდა, იურიდიულ პირს, რომელიც შექმნილი იყო სადაზღვევო საქმიანობის განსახორციელებლად და, რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული ჰქონდა დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების, კერძოდ, 7 (შვიდი) წლის განმავლობაში ახლადაშენებული საავადმყოფოებისათვის პროფილის შენარჩუნების ვალდებულების შესრულების მიზნით, სადაზღვევო კომპანიამ ნასყიდობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობადადებული მიწის ნაკვეთები და მასზე მდგომი ახლად აშენებული საავადმყოფოს შენობები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილობითი თანხმობების საფუძველზე, გადასცა სადაზღვევო კომპანიის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ კომპანიას - შპს „არქიმედეს კლინიკას“, ისე რომ ქონების ამგვარი გადაცემით, ამ უკანასკნელმა ფაქტობრივი უფლებამონაცლის სახით ჩაანაცვლა სადაზღვევო კომპანია ნასყიდობის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „არქიმედეს კლინიკამ“ დაიწყო იჯარით აღებული უძრავ-მომრავი საიჯარო ქონების საშუალებითა და მის ბაზაზე უწყვეტი სამედიცინო სერვისის მიწოდება ქ. ლაგოდეხის, ქ. წნორის და ქ. სენაკის რაიონის მოსახლეობისათვის. აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით შპს „არქიმედეს კლინიკამ“ განახორციელა ახლად აშენებული საავადმყოფოების მაღალტექნოლოგიური თანამედროვე სამედიცინო კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა, მისი მაღალი დონისა და კვალიფიციური პროფესიონალი კადრებით (რომელთა უმრავლესობა წარმოადგენს ადგილობრივ

მოსახლეობას) დაკომპლექტება, საავადმყოფოს ფუნქციონირებისათვის საჭირო სანებართვო პირობების დაკმაყოფილება და შესაბამისი საქმიანობის ნებართვების აღება. აღსანიშნავია, რომ იგი დღემდე უწყვეტად, ყოველგვარი შეფერხების გარეშე ახორციელებს სამედიცინო მომსახურებას პროფილის შეუცვლელად და წამყვან სამედიცინო დაწესებულებებად ითვლება მითითებულ რაიონებში.

2016 წელს გაიზარდა შპს „არქიმედეს კლინიკის“ ქსელში არსებულ სტაციონარული ნებართვის მქონე სამედიცინო დაწესებულებების რიცხვიც, კერძოდ, მითითებულ დაწესებულებებს დაემატა ქ. ლაგოდეხში, ჯანელიძის ქუჩაზე მდებარე ახალი მრავალპროფილური კლინიკა. უძრავი ქონების მესაკუთრეს - შპს „ჯანმრთელობასა“ და შპს „არქიმედეს კლინიკას“ შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „არქიმედეს კლინიკას“, როგორც მოიჯარეს, სარგებლობის უფლებით გადაეცა შპს „ჯანმრთელობის“ პირობადებულ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, შემდგომში მასში სამედიცინო დაწესებულების მოწყობისა და სამედიცინო პროფილის შენარჩუნების პირობით. შპს „არქიმედეს კლინიკამ“, როგორც უძრავი ქონების მართლზომიერმა მფლობელმა, იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, თავისი ხარჯით ჩაატარა შენობის, როგორც შიდა ფართის, ასევე გარე ფასადის კაპიტალური რემონტი სამედიცინო დაწესებულებისათვის დადგენილი სანებართვო პირობებისა და საჭირო სტანდარტების შესაბამისად. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით უზრუნველყო შენობის გარე პერიმეტრის (ეზოს) მოწყობა- მოპირკეთების სამუშაოების ჩატარება. დაწესებულების აღჭურვის მიზნით შეიძინა მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დანიშნულების აპარატურა და ინვენტარი. დაწესებულება დააკომპლექტა მაღალი დონისა და კვალიფიციური პერსონალით.

ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ბაზაზე მულტიპროფილური სამედიცინო საქმიანობის განხორციელების მიზნით, სსიპ - სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს უფროსის, 2015 ლის 31 დეკემბრის N02/1806 ბრძანების საფუძველზე, შპს „არქიმედეს კლინიკის“ სახელზე გაიცა სტაციონარული დაწესებულების ნებართვა N 000783 და სანებართვო მოწმობის დანართები შემდეგი სამედიცინო საქმიანობის განსახორციელებლად: ქირურგიული პროფილის საქმიანობა, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება - EMERGENCY, რეანიმაციული საქმიანობა, ნეონატოლოგია, მეანობა, სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა - გინეკოლოგია და რადიოლოგიური საქმიანობა - რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა. რაც შეეხება, სამედიცინო პროფილით ფუნქციონირების დაწყებას, სამედიცინო დაწესებულებამ პროფილით ფუნქციონირების დაიწყო 2016 წლის იანვრის თვეში.

ახალ კლინიკაში 2016 წლის აპრილიდან გაიხსნა კომპიუტერული ტომოგრაფიის კაბინეტი, ასევე ჰოსპიტალურ ნაწილში დაემატა ტრავმატოლოგიური მომსახურებაც. შედეგად პაციენტები იღებენ კვალიფიციურ და მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებას.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც აღნიშნული კლინიკის ბაზაზე განხორციელდა არის ის, რომ რეგიონში დაინერგა ახალი სერვისი - ნეონატოლოგიის მომსახურება. მოგვენიჭა პერინატალური მოვლის შერეული II-III დონე (NICU). მსგავსი მომსახურების მიღებას მოსახლეობა რეგიონის მასშტაბით აქამდე ვერ ახორციელებდა. ნეონატოლოგიურ განყოფილებას ხელმძღვანელობენ თბილისიდან მოწვეული მაღალი დონის სპეციალისტები, რომლებიც პარალელურად ახორციელებენ ადგილობრივი კადრების გადამზადებას და თეორიული თუ უშალოდ პრაქტიკული ტრენინგების შედეგად ამზადებენ ადგილობრივ კადრებს სამომავლო საქმიანობისათვის. გაფართოვდა სამშობიარო განყოფილება, დაემატა ინდივიდუალური სამშობიარო ბლოკები და კლინიკაში უფრო კომფორტული გახდა მომსახურების მიღება.

ლაგოდების კლინიკაში 2017 წლის სექტემბრის თვიდან გაიხსნა და სრული დატვირთვით ამუშავდა კარდიოლოგიური განყოფილება, სადაც კეთდება კარდიოქირურგიული ჩარევები - ანგიოპლასტიკა (კორონაროგრაფია, სტენტირება). ამასთან, დაკავშირებით განხორციელდა მედ-პერონალის გადამზადება და მოძიებული იქნა შესაბამისი აპარატურა.

შედეგად, კახეთის რეგიონის შპს „არქიმედეს კლინიკის“ ქსელში არსებული სამედიცინო დაწესებულებებში მოსახლეობისათვის შეთავაზებული არის სრული სამედიცინო სერვისები და სხვა კლინიკაში პაციენტების გადინება ხდება მხოლოდ ნეიროქირურგიული და კარდიოქირურგიული (შუნტირება, სარქველების გამოცვლა და ა.შ.) შემთხვევების დროს.

რაც შეეხება, "არქიმედეს კლინიკა" სენაკს, 2018 წლის მაის-ივნისის თვეში შეინიშნებოდა პაციენტების შემცირებისა და სხვა კლინიკებში გადინების ტენდენცია. ამის გამოძწევი ძირითადი მიზეზი გახლდათ ის, რომ კონკურენტ კლინიკაში დაიდგა კომპიუტერული ტომოგრაფიის აპარატი. შემოსავლების მოზიდვის მიზნით დღის წესრიგში დადგა სენაკის კლინიკაში კომპიუტერული ტომოგრაფიის კაბინეტის ამუშავება. ამასთან, დაკავშირებით განხორციელდა მედ-პერონალის გადამზადება, მოძიებული იქნა შესაბამისი აპარატურა და 2019 წლიდან ხორციელდება მაღალტექნოლოგიური კვლევის ადგილზე მიღება.

გარდა სტაციონარული სერვისისა, შპს „არქიმედეს კლინიკა“ ეწევა ამულატორიულ საქმიანობას როგორც კლინიკების ფაქტობრივ მისამართებზე, ასევე, სტაციონარების განცალკევებით როგორც კახეთის, ისე სამეგრელოს რეგიონში.

შპს „არქიმედეს კლინიკათა“ ქსელში არსებული ყველა სამედიცინო დაწესებულება ჩართულია ჯანმრთელობის დაცვის არაერთ სახელმწიფო პროგრამაში და გაიდლაინებისა და პროტოკოლების მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამისი სერვისის მიწოდებას სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის. გარდა ამისა, მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, შპს „არქიმედეს კლინიკა“ წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N 36-ე დადგენილებით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ, პროგრამის მიმწოდებელ დაწესებულებას შესაბამის რაიონებში და კანონმდებლობის სრული

დაცვით ახორციელებს საქმიანობას. გარდა ამისა, კლინიკა ჩართულია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებსა და კერძო სადაზღვევო პროექტებში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 3 იანვარის ბრძანება №01-1/ნ-ს თანახმად 2019 წლიდან ყველა კლინიკა ჩართულია ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში. კლინიკებში ჩატარებული შესაბამისი სამუშაოების შედეგად შიდა პროგრამიდან ავტომატურად ხდება ჯანდაცვის პორტალზე ინფორმაციის ატვირთვა და სამედიცინო პერსონალს არ უწევს თითოეული შემთხვევის ხელით ატვირთვა, რაც დროისა და ადამიანური რესურსის დიდ დანაზოგს აკეთებს.

ასევე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2020 წლის მატიდან საქართველოში ახალი კორონავირუსის COVID-19-ის შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საექვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის მობილიზებულ იქნა სამედიცინო დაწესებულებები. შერჩეულ დაწესებულებათა რიგში განისაზღვრა შპს „არქიმედეს კლინიკის“ ქსელში არსებული სამედიცინო დაწესებულებებიც, კერძოდ ქ. ლაგოდეხში, 9 აპრილის ქუჩაზე და ქ. წნორში, მშვიდობის ქუჩაზე მდებარე სამედიცინო დაწესებულებები, რომელთაც 2020 წლის მარტის თვიდან დაევალოთ COVID-19-ის საექვო და დადასტურებული შემთხვევების მართვისთვის სამედიცინო დაწესებულებების საწოლფონდის სრულად (წნორში ნაწილობრივ) მობილიზება. აღნიშნულის შემდეგ, სამედიცინო დაწესებულებები მითითებული პერიოდიდან მოყოლებული 2022 წლის მარტის თვემდე უწყვეტად ახორციელებდნენ COVID-19-ის საექვო და დადასტურებული შემთხვევების დიაგნოსტიკისა და მართვის უზრუნველყოფას მთელი რეგიონის მასშტაბით და სრული დატვირთვით ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

გარდა ამისა, „ინსულტის მართვის სისტემის ფუნქციონირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 21 აპრილის N 26/ნ ბრძანების საფუძველზე, ინსულტის მართვის 2-დონიან სისტემაში მონაწილეობის მიზანშეწონილობისა და შესაბამისი სტატუსის განსაზღვრის მიზნით, 2023 წელს შპს „არქიმედეს კლინიკის“ ქსელში შემავალ კლინიკებს (ფაქტობრივი მისამართები: ქ. ლაგოდეხი, ჯანელიძის ქ. და ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. 110) მიენიჭათ ინსულტის მართვის პირველადი ერთეულის სამედიცინო დაწესებულებების სტატუსი, როგორც ინსულტის მართვის სისტემაში ინსულტის მართვის 2-დონიანი სისტემის, პირველი დონის მქონე დაწესებულებებს.

ინკურაბელური პაციენტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და პალიატიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, შპს „არქიმედეს კლინიკამ“ ქსელში შემავალი კლინიკების ბაზაზე (ლაგოდეხისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში) 2024 წლის მაისის თვიდან დაიწყო ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის სერვისის ადგილზე უწყვეტი მიწოდება, ლაგოდეხისა და

სიღნაღის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შესაბამისი საჭიროების მქონე პაციენტებისათვის. „სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების საერთაშორისო აკრედიტაციის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, 2023 წლის 26 იანვრის N №4/წ ბრძანების შესაბამისად, 2024 წლის ნოემბრის თვეში შპს „არქიმედეს კლინიკამ“ (ს/კ 404869567; ქსელში შემავალმა კლინიკებმა ფაქტ. მის: ქ. ლაგოდეხი, 9 აპრილის ქ; ქ. ლაგოდეხი, ჯანელიძის ქუჩა; ქ. წნორი, მშვიდობის ქუჩა; ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. N 110;) წარმატებით გაიარა საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესი და მას (და მის ქსელში შემავალ ყველა სამედიცინო დაწესებულებას) The Australian Council on Healthcare Standards International (ACHS International)-ის მიერ მიენიჭა საერთაშორისო აკრედიტაციის სერტიფიკატ(ებ)ი.



კომპანიის მართვა

ჯგუფის სტრუქტურა:

- შპს „არქიმედეს კლინიკის“ დამფუძნებელი-პარტნიორია (100%-იანი წილობრივი მონაწილეობით) - სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია“.
- სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ - მიდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება და კომპანიაში ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - გაკოტრების მმართველი - კახაბერ ვარადაშვილი, რომელიც ასევე, ახორციელებს კომპანიის მმართველი პარტნიორების (აქციონერ(ებ)ის) და ყველა მმართველი ორგანოს, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებას. მმართველი ორგანოები აღარ მონაწილეობენ კომპანიის მართვაში, კომპანიაში დაწყებული გაკოტრების საქმისწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე.

ჯგუფში დაკავშირებული მხარეები/პირები:

- სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204543869), გაკოტრების მმართველი - კახაბერ ვარადაშვილი (პ/წ 01014000880).
- შპს „არქიმედეს კლინიკა“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404869567) დირექტორი - ნინო აკობიძე (პ/წ 01024056229) და აღმასრულებელი დირექტორი - კახაბერ ვარადაშვილი (პ/წ 01014000880) – 100 %-იანი

წილის მესაკუთრე (დამფუძნებელი/პარტნიორი) – სს
„სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია“
(საიდენტიფიკაციო კოდი: 204543869) - გაკოტრების მმართველი - კახაბერ
ვარადაშვილი (პ/ნ 01014000880).

- შპს „არქიმედეს ასისტანსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404898740)
დირექტორი - კახაბერ ვარადაშვილი - 100 %-იანი წილის მესაკუთრე
(დამფუძნებელი/პარტნიორი) – სს
„სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია“
(საიდენტიფიკაციო კოდი: 204543869) - გაკოტრების მმართველი - კახაბერ
ვარადაშვილი (პ/ნ 01014000880).

- სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია“
(საიდენტიფიკაციო კოდი: 204543869) - გაკოტრების მმართველი - კახაბერ
ვარადაშვილი (პ/ნ 01014000880)
დამფუძნებელი/პარტნიორი, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე
უფლებამოსილი პირი - გაკოტრების მმართველი კახაბერ ვარადაშვილი
(პ/ნ 01014000880);

შენიშვნა : მმართველი ორგანოები - აქციონერთა საერთო კრებისა და
სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება და ფუნქციები ხორციელდება
გაკოტრების მმართველის - კახაბერ ვარადაშვილის მიერ და მმართველი
ორგანოები აღარ მონაწილეობენ კომპანიის მართვაში, კომპანიაში
დაწყებული გაკოტრების საქმისწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე.



შპს „არქიმედეს კლინიკა“ (საიდ. კოდი: 404869567;) 2011 წლიდან დაიწყო იჯარით აღებული უძრავ-მოძრავი საიჯარო ქონების საშუალებითა და მის ბაზაზე უწყვეტი სამედიცინო სერვისის მიწოდება ქ. ლაგოდეხის, ქ. წნორის და ქ. სენაკის რაიონის მოსახლეობისათვის. აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით შპს „არქიმედეს კლინიკამ“ განახორციელა ახლად აშენებული საავადმყოფოების მაღალტექნოლოგიური თანამედროვე სამედიცინო კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა, მისი მაღალი დონისა და კვალიფიციური პროფესიონალი კადრებით (რომელთა უმრავლესობა წარმოადგენს ადგილობრივ მოსახლეობას) დაკომპლექტება, საავადმყოფოს ფუნქციონირებისათვის საჭირო სანებართვო პირობების დაკმაყოფილება და შესაბამისი საქმიანობის ნებართვების აღება. აღსანიშნავია, რომ იგი დღემდე უწყვეტად, ყოველგვარი შეფერხების გარეშე ახორციელებს სამედიცინო მომსახურებას პროფილის შეუცვლელად და წამყვან სამედიცინო დაწესებულებებად ითვლება მთითებული რაიონებში.

აღსანიშნავია, რომ დიდ პრობლემას წარმოადგენს რაიონებში პროფესიონალი კადრების მოძიება, რის გამოც სისტემატიურად გვიწევს სამედიცინო პერსონალის გადამზადება და შესაბამის ტრენინგ კურსებზე გაგზავნა კლინიკის ხარჯებით. მომსახურების მაღალი ხარისხის შესანარჩუნებლად, ასევე, გვიწევს თბილისიდან მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩამოყვანა.

იმის გამო, რომ კლინიკები მდებარეობს რაიონებში, ასევე, საკმაოდ ძნელია კვალიფიციური საინჟინრო კადრების ადგილზე მოძიებაც. შესაბამისად, მაღალტექნოლოგიური სერვისების დანერგვა პრობლემურია. აპატრატურის გასამართად და შესაკეთებლად ხშირად გვიწევს ტექნიკური პერსონალის მოწვევა, რაც დაკავშირებულია დროის ფაქტორთან და ფინანსურ ხარჯებთან. მეორეს მხრივ, ვითრდება რაიონები და ადგილზე ჩნდება ალტერნატიული მომწოდებლებიც. ამიტომ აუცილებელია ახალი ტექნოლოგიების განვითარება და კლინიკების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხდება არსებული დაფინანსების ტარიფების შემცირება, ასევე კუთვნილი თანხების დაგვიანებით ჩარიცხვა, მაქსიმალურად ვცდილობთ სერვისების გაფართოების ხარჯზე კლინიკებში შენარჩუნებული იქნას სტაბილურობა, მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიური და ხარისხიანი მომსახურების შეთავაზების ხარჯზე არ მოხდეს პაციენტების სხვა კლინიკებში გადინება. შედეგად, ვცდილობთ დროულად მოხდეს როგორც ყოველთვიური ხელფასის გაცემა, ასევე ყოველი წლის ბოლოს კრედიტორული ვალდებულებების გასტუმრება.

სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ შპს „არქიმედეს კლინიკის“ ქსელში შემავალი, ქ. წნორში მდებარე კლინიკაში იგეგმება, ინტერვენციული კარდიოლოგიის მიმართულებით საქმიანობის დასაწყებად, შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა (ანგიოგრაფიის აპარატის შეძენა, მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრების (სპეციალისტების) მოძიება და ა.შ.), რათა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მოსახელობისათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ კიდევ ერთი მაღალტექნოლოგიური სერვისის მიწოდება.

შპს „არქიმედეს კლინიკა“ სამომავლოდ, ასევე, გეგმავს არსებული პროფილების შენარჩუნებასა და გარკვეული მიმართულებით მათ გაზრდა-განვითარებასაც შესაძლებლობისა და გარემოებების გათვალისწინებით.

შპს „არქიმედეს კლინიკის“

დირექტორი:

ნინო აკობიძე

ქ. თბილისი

2025 წელი



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არქიმედეს
კლინიკა“**

**ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა**

2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

შპს „არქიმედეს კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

	გვერდი
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალი და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	9-36
1. შესავალი	9
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა	9
3. ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება	22
4. სააღრიცხვო კრიტიკული შეფასებები და შეფასების უტყუარობის ძირითადი წყაროები	23
5. ძირითადი საშუალებები	25
6. მარაგები	25
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26
8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	27
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
10. მოკლევადიანი სესხები	27
11. გრძელვადიანი ვალდებულებები	28
12. ფინანსური იჯარა	28
13. შემოსავალი მომსახურებიდან	29
14. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	29
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	30
16. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	30
17. მოგების გადასახადი	30
18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	35
19. გაუთვალისწინებელი მოვლენები	35
20. მნიშვნელოვანი მოვლენები საანგარიშო თარიღის შემდგომ	36

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არქიმედეს კლინიკა“-ის მფლობელებს და მენეჯმენტს:

მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს შპს „არქიმედეს კლინიკა“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხებია, რომელიც მოითხოვს პროფესიულ მსჯელობას და რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული ჩვენს მიერ მიმდინარე პერიოდის ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში. ჩვენ ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ, რადგან ეს ყოველივე ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში ჩატარებული აუდიტის საფუძველზე. დეტალები თუ რა მიდგომები იქნა გამოყენებული აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში მოცემულია ქვემოთ.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც მოცემულია დასკვნის ნაწილში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტორული შემოწმება მოიცავდა ისეთ სამუშაოებს რომლის მიზანიც იყო შეფასებულიყო ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან ცდომილებით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკები. ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები, წამოადგენს თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების საუძველს.

შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც არის საფუძველი კომპანიის საქმიანობის მაჩვენებლების და შესაბამისად განსაზღვრას კომპანიის ძირითად ფინანსურ მიზნებს რის მიხედვითაც ფასდებიან და ანაზღაურდებიან ჯგუფის მენეჯმენტის წევრები და თანამშრომლები.

ჯანდაცვის მომსახურების შემოსავლის უდიდესი ნაწილი არის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამიდან. აღნიშნული პროგრამიდან შემოსავლის ასალიარებლად საჭიროა რომ მომსახურება იყოს გაწეული სახელმწიფოსთვის.

ზემოთ თქმულის საფუძველზე, მივიჩნევთ რომ შემოსავლის აღიარება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აუდიტის ფარგლებში.

ფინანსური ანგარიშგების გამჟღავნება 2-ში მოცემულია ინფორმაცია ამონაგებთან მიმართებაში არსებულ ხელშეკრულებებზე და შესაბამის ამონაგებზე.

აუდიტის განმავლობაში შემოსავლის აღიარებასთან მიმართებაში ჩატარებული სამუშაოები

- მოძიებულ იქნა კომპანიისგან შემოსავლის ყველა წყარო და შეფასებულ იქნა შემოსავლის აღიარების პროცესში არსებული კონტროლის საშუალებები;
- შემოწმებულ იქნა სახელმწიფოს მიერ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული, თუმცა ჯერ კიდევ მიუღებელი ინვოისები და შეფასებულ იქნა შესაბამისი საბალანსო და საშემოსავლო მუხლები;
- შევასწავეთ ყოველწლიური ტენდენციები შემოსავლებში;
- შეფასებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების ყველა რელევანტური გამჟღავნება;
- შეფასებულ იქნა მხარდამჭერი ინვოისები და შემოსავლის აღიარების პერიოდი შევადარეთ მომსახურების ფაქტობრივ პერიოდს.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლად ვართ შპს "არქიმედეს კლინიკა"-ს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ასახვა ანგარიშში. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ანგარიშში ასახვა.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფასს-ს შესაბამისად და აგრეთვე შიდა კონტროლზე, როგორც მენეჯმენტი დაადგენს საჭიროდ, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშების მომზადება, სადაც არ იქნება მატერიალური ცდომილება შეცდომის ან თაღლითობის გამო.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, როდესაც იგი არსებობს, ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიჩნეულია, როგორც არსებითი, თუ, ერთობლივად ან ცალ-ცალკე, მათგან გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რაც მიღებულია ამ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით, როგორც ასს-ს თანახმად ჩატარებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის საშუალებით, ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობის რისკებს, განვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტირებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლეთ აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას და სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას, ასევე შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- დასკვნას ვაკეთებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე - არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა, კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ გვევალება აუდიტორის ანგარიშში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით კომპანიამ შეიძლება შეწყვიტოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჩვენ დავუკავშირდით მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დადგენილი ფარგლების და დროის განრიგის და აუდიტის მნიშვნელოვანი დასკვნების შესახებ, შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლებობის ჩათვლით, რაც ჩვენ აუდიტის განმავლობაში აღმოვაჩინეთ. მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ჩვენ აგრეთვე მივაწოდეთ განცხადება, რომ ვიცავთ დამოუკიდებლობის შესახებ ეთიკის მოთხოვნებს და ვაცნობთ ყველა კავშირის და სხვა საკითხების შესახებ, რამაც შესაძლოა გონივრულად დააბრკოლოს და კავშირი ჰქონდეს ჩვენს დამოუკიდებლობასთან, და აგრეთვე ვაცნობთ, სადაც საჭიროა, მასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებები.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა არის ზურაბ უჯმაჯურიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-290563).

შპს იგალ-ის სახელით.

თბილისი, საქართველო
6 ოქტომბერი, 2025



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არქიმედეს კლინიკა“-ის მფლობელებს და მენეჯმენტს:

მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს შპს „არქიმედეს კლინიკა“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფას“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხებია, რომელიც მოითხოვს პროფესიულ მსჯელობას და რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული ჩვენს მიერ მიმდინარე პერიოდის ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში. ჩვენ ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ, რადგან ეს ყოველივე ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში ჩატარებული აუდიტის საფუძველზე. დეტალები თუ რა მიდგომები იქნა გამოყენებული აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში მოცემულია ქვემოთ.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც მოცემულია დასკვნის ნაწილში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტორული შემოწმება მოიცავდა ისეთ სამუშაოებს რომლის მიზანიც იყო შეფასებულიყო ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან ცდომილებით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკები. ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები, წამოადგენს თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების საუბედეს.

შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც არის საფუძველი კომპანიის საქმიანობის მაჩვენებლების და შესაბამისად განსაზღვრას კომპანიის ძირითად ფინანსურ მიზნებს რის მიხედვითაც ფასდებიან და ანაზღაურდებიან ჯგუფს მენეჯმენტის წევრები და თანამშრომლები.

ჯანდაცვის მომსახურების შემოსავლის უდიდესი ნაწილი არის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამიდან. აღნიშნული პროგრამიდან შემოსავლის ასაღიარებლად საჭიროა რომ მომსახურება იყოს გაწეული სახელმწიფოსთვის.

ზემოთ თქმულის საფუძველზე, მივიჩნევთ რომ შემოსავლის აღიარება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აუდიტის ფარგლებში.

ფინანსური ანგარიშგების გამჟღავნება 2-ში მოცემულია ინფორმაცია ამონაგებთან მიმართებაში არსებულ ხელშეკრულებებზე და შესაბამის ამონაგებზე.

აუდიტის განმავლობაში შემოსავლის აღიარებასთან მიმართებაში ჩატარებული სამუშაოები

- მოძიებულ იქნა კომპანიისგან შემოსავლის ყველა წყარო და შეფასებულ იქნა შემოსავლის აღიარების პროცესში არსებული კონტროლის საშუალებები;
- შემოწმებულ იქნა სახელმწიფოს მიერ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული, თუმცა ჯერ კიდევ მიუღებელი ინვოისები და შეფასებულ იქნა შესაბამისი საბალანსო და საშემოსავლო მუხლები;
- შევავსეთ ყოველწლიური ტენდენციები შემოსავლებში;
- შეფასებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების ყველა რელევანტური გამჟღავნება;
- შეფასებულ იქნა მხარდამჭერი ინვოისები და შემოსავლის აღიარების პერიოდი შევადარეთ მომსახურების ფაქტობრივ პერიოდს.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - 'აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე' - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ შპს "არქიმედეს კლინიკა"-ს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ასახვა ანგარიშში. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ანგარიშში ასახვა.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფასს-ს შესაბამისად და აგრეთვე შიდა კონტროლზე, როგორც მენეჯმენტი დაადგენს საჭიროდ, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშების მომზადება, სადაც არ იქნება მატერიალური ცდომილება შეცდომის ან თაღლითობის გამო.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, როდესაც იგი არსებობს, ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიჩნეულია, როგორც არსებითი, თუ, ერთობლივად ან ცალ-ცალკე, მათგან გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რაც მიღებულია ამ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით, როგორც ასს-ს თანახმად ჩატარებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის საშუალებით, ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობის რისკებს, განვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტირებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლეთ აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას და სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას, ასევე შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- დასკვნას ვაკეთებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე - არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა, კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ გვევალება აუდიტორის ანგარიშში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით კომპანიამ შეიძლება შეწყვიტოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჩვენ დავუკავშირდით მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დადგენილი ფარგლების და დროის განრიგის და აუდიტის მნიშვნელოვანი დასკვნების შესახებ, შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლებობის ჩათვლით, რაც ჩვენ აუდიტის განმავლობაში აღმოვაჩინეთ. მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ჩვენ აგრეთვე მივაწოდეთ განცხადება, რომ ვიცავთ დამოუკიდებლობის შესახებ ეთიკის მოთხოვნებს და ვაცნობეთ ყველა კავშირის და სხვა საკითხების შესახებ, რამაც შესაძლოა გონივრულად დააბრკოლოს და კავშირი ჰქონდეს ჩვენს დამოუკიდებლობასთან, და აგრეთვე ვაცნობეთ, სადაც საჭიროა, მასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებები.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარი

შგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა არის ზურაბ უჯმაჯურიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-290563).

შპს იგალ-ის სახელით.

თბილისი, საქართველო
6 ოქტომბერი, 2025

შპს „არქიმედეს კლინიკა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	9,935	68,217
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	4,048,896	4,274,598
მარაგები	6	595,377	560,568
სხვა მიმდინარე აქტივები		4,253	4,624
მთლიანი მიმდინარე აქტივები		4,658,461	4,908,007
გრძელვადიანი აქტივები			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	5	3,357,035	4,371,284
დაუმთავრებელი მშენებლობა	5	32,784	205,709
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	5	660	906
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		3,390,479	4,577,899
სულ აქტივები		8,048,940	9,485,906
ვალდებულება და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	5,277,711	4,628,009
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		779	-
მოკლევადიანი სესხები	10	739,815	984,885
საგადასახადო ვალდებულება		58,235	77,134
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		6,076,540	5,690,028
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარა	12	682,214	1,322,834
გრძელვადიანი სესხები	11	358,981	358,981
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	11	156,154	156,775
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		1,197,349	1,838,590
მთლიანი ვალდებულებები		7,273,889	7,528,618
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		774,851	1,957,088
მთლიანი კაპიტალი		775,051	1,957,288
მთლიანი ვალდებულება და კაპიტალი		8,048,940	9,485,906

ხელმოწერილი პირები

დირექტორი: ნინო აკობიძე

09 ივლისი, 2025
თბილისი, საქართველო

**მთავარი ბუღალტერი: ქეთევან
გოდერძიშვილი**

09 ივლისი, 2025
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 9-36 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-4 გვერდებზე.


შპს „არქიმედეს კლინიკა“


მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რელიზაციიდან	13	14,381,874	14,210,825
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	14	(13,503,741)	(14,025,634)
საერთო მოგება		878,133	185,191
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	15	(2,254,830)	(1,896,416)
მთლიანი საოპერაციო მოგება		(1,376,697)	(1,711,225)
კურსთა შორის სხვაობა		32	154
საპროცენტო ხარჯი		(216,539)	(240,906)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16	427,474	349,921
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(16,204)	(33,687)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(1,181,934)	(1,635,743)
მოგების გადასახადი	17	(303)	(28,417)
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		(1,182,237)	(1,664,160)

ხელმოწერილი პირები


დირექტორი: ნინო აკობიძე




**მთავარი ბუღალტერი: ქეთევან
 გოდერძიშვილი**

09 ივლისი, 2025
 თბილისი, საქართველო


09 ივლისი, 2025
 თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 9-36 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-4 გვერდებზე.


შპს „არქიმედეს კლინიკა“
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი	სულ
31 დეკემბერი, 2022	200	3,781,248	-	3,781,448
გაუნაწილებელი მოგება	-	(1,664,160)	1,664,160	-
გაცემული დივიდენდი	-	(160,000)	-	(160,000)
მოგება წლის განმავლობაში	-	-	(1,664,160)	(1,664,160)
31 დეკემბერი, 2023	200	1,957,088	-	1,957,288
გაუნაწილებელი მოგება	-	(1,182,237)	1,182,237	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
მოგება წლის განმავლობაში	-	-	(1,182,237)	(1,182,237)
31 დეკემბერი, 2024	200	774,851	-	775,051

ხელმოწერილი პირები


 დირექტორი: ნინო აკობიძე




 მთავარი ბუღალტერი: ქეთევან
 გოდერძიშვილი

09 ივლისი, 2025
 თბილისი, საქართველო

09 ივლისი, 2025
 თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 9-36 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-4 გვერდებზე.

შპს „არქიმედეს კლინიკა“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბერი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
სახელმწიფო პროგრამებიდან მიღებული ფულადი სახსრები	11,372,090	11,267,374
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3,222,410	2,861,742
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(5,577,812)	(5,339,532)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(6,275,924)	(6,096,381)
გადახდილი გადასახადები	(1,833,753)	(1,698,120)
სხვა	(6,919)	
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	900,092	995,083
საინვესტიციო საქმიანობები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(713,275)	(1,047,756)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	0	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(713,275)	(1,047,756)
მიღებული მოკლევადიანი სესხი	-	2,829,972
სესხის დაფარვა	(245,070)	(2,470,333)
გადახდილი პროცენტი	-	(119,748)
გადახდილი დივიდენდები	-	(160,000)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(245,070)	79,891
კურსთაშორის სხვაობის შედეგი	(29)	-
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	(58,282)	27,218
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	68,217	40,999
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	9,935	68,217

ხელმოწერილი პირები


დირექტორი: ნინო აკობიძე




**მთავარი ბუღალტერი: ქეთევან
 გოდერძიშვილი**

09 ივლისი, 2025
 თბილისი, საქართველო

09 ივლისი, 2025
 თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 9-36 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-4 გვერდებზე.

შპს „არქიმედეს კლინიკა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	9,935	68,217
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	4,048,896	4,274,598
მარაგები	6	595,377	560,568
სხვა მიმდინარე აქტივები		4,253	4,624
მთლიანი მიმდინარე აქტივები		4,658,461	4,908,007
გრძელვადიანი აქტივები			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	5	3,357,035	4,371,284
დაუმთავრებელი მშენებლობა	5	32,784	205,709
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	5	660	906
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		3,390,479	4,577,899
სულ აქტივები		8,048,940	9,485,906
ვალდებულება და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	5,277,711	4,628,009
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		779	-
მოკლევადიანი სესხები	10	739,815	984,885
საგადასახადო ვალდებულება		58,235	77,134
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		6,076,540	5,690,028
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარა	12	682,214	1,322,834
გრძელვადიანი სესხები	11	358,981	358,981
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	11	156,154	156,775
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		1,197,349	1,838,590
მთლიანი ვალდებულებები		7,273,889	7,528,618
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		774,851	1,957,088
მთლიანი კაპიტალი		775,051	1,957,288
მთლიანი ვალდებულება და კაპიტალი		8,048,940	9,485,906

ხელმოწერილი პირები

დირექტორი: ნინო აკობიძე

09 ივლისი, 2025
თბილისი, საქართველო

**მთავარი ბუღალტერი: ქეთევან
გოდერძიშვილი**

09 ივლისი, 2025
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 9-36 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-4 გვერდებზე.

შპს „არქიმედეს კლინიკა“

მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	14,381,874	14,210,825
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	14	(13,503,741)	(14,025,634)
საერთო მოგება		878,133	185,191
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	15	(2,254,830)	(1,896,416)
მთლიანი საოპერაციო მოგება		(1,376,697)	(1,711,225)
კურსთა შორის სხვაობა		32	154
საპროცენტო ხარჯი		(216,539)	(240,906)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16	427,474	349,921
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(16,204)	(33,687)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(1,181,934)	(1,635,743)
მოგების გადასახადი	17	(303)	(28,417)
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		(1,182,237)	(1,664,160)

ხელმომწერი პირები

დირექტორი: ნინო აკობიძე

**მთავარი ბუღალტერი: ქეთევან
გოდერძიშვილი**

09 ივლისი, 2025
თბილისი, საქართველო

09 ივლისი, 2025
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 9-36 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-4 გვერდებზე.

შპს „არქიმედეს კლინიკა“
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი	სულ
31 დეკემბერი, 2022	200	3,781,248	-	3,781,448
გაუნაწილებელი მოგება	-	(1,664,160)	1,664,160	-
გაცემული დივიდენდი	-	(160,000)	-	(160,000)
მოგება წლის განმავლობაში	-	-	(1,664,160)	(1,664,160)
31 დეკემბერი, 2023	200	1,957,088	-	1,957,288
გაუნაწილებელი მოგება	-	(1,182,237)	1,182,237	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
მოგება წლის განმავლობაში	-	-	(1,182,237)	(1,182,237)
31 დეკემბერი, 2024	200	774,851	-	775,051

ხელმომწერი პირები

დირექტორი: ნინო აკობიძე

**მთავარი ბუღალტერი: ქეთევან
გოდერძიშვილი**

09 ივლისი, 2025
თბილისი, საქართველო

09 ივლისი, 2025
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 9-36 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-4 გვერდებზე.

შპს „არქიმედეს კლინიკა“
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
სახელმწიფო პროგრამებიდან მიღებული ფულადი სახსრები	11,372,090	11,267,374
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3,222,410	2,861,742
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(5,577,812)	(5,339,532)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(6,275,924)	(6,096,381)
გადახდილი გადასახადები	(1,833,753)	(1,698,120)
სხვა	(6,919)	
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	900,092	995,083
საინვესტიციო საქმიანობები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(713,275)	(1,047,756)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	0	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(713,275)	(1,047,756)
მიღებული მოკლევადიანი სესხი	-	2,829,972
სესხის დაფარვა	(245,070)	(2,470,333)
გადახდილი პროცენტი	-	(119,748)
გადახდილი დივიდენდები	-	(160,000)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(245,070)	79,891
კურსთაშორის სხვაობის შედეგი	(29)	-
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	(58,282)	27,218
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	68,217	40,999
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	9,935	68,217

ხელმოწერილი პირები

დირექტორი: ნინო აკობიძე

09 ივლისი, 2025
თბილისი, საქართველო

**მთავარი ბუღალტერი: ქეთევან
გოდერძიშვილი**

09 ივლისი, 2025
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 9-36 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-4 გვერდებზე.

1. შესავალი

კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „არქიმედეს კლინიკა“ დაარსდა 2010 წლის 12 აგვისტოს, იგი (კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სამართალსუბიექტის სახით რეგისტრირებული და ოფიციალური ადგილსამყოფელით საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი, №34

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საავადმყოფოების საქმიანობები, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა, ფართო პროფილისა და სპეციალიზებული საავადმყოფოების საქმიანობა, ჯანდაცვის, განათლების, კულტურული მომსახურების და სხვა სოციალური მომსახურების საქმიანობების რეგულირება, სოციალური უსაფრთხოების გარდა, საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

კომპანიის 100% წილის მფლობელი არის სააქციო საზოგადოება სამედიცინო დაზღვევის კომპანია არქიმედეს გლობალ ჯორჯია 204543869.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა (შემდეგში სჯკ) ამოქმედდა 2013 წლის 28 თებერვლიდან. პროგრამის მიზანია, ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

შესაბამისობის ანგარიში

განცხადება შესაბამისობის შესახებ.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების („ფასს-ის“) მიხედვით, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ბასს“) საბუთს მიერ. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებებისა რომელიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით.

მომზადების საფუძველი

შეფასების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ისინი მომზადდა თავდაპირველი ღირებულების პრინციპის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს კონკრეტული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს თავისი შეფასებები კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის სირთულეებით ან განსჯადობით, ან რომელშიც დაშვებებსა და შეფასებებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია 5 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კომპანიას აქვს საკმარისი რესურსები, გააგრძელოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან,

ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები წარმოდგენილია ქვემოთ:

ვალუტის გაცვლა. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი (“ლარი”, “GEL”). ტრანზაქციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საანგარიშო პერიოდის დასრულების თარიღისთვის მოქმედი, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობის მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ტრანზაქციების ანგარიშსწორების და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური მოგება ან ხარჯი. ვალუტის გადაცვლა წლის ბოლოს განაკვეთებით არ გამოიყენება არაფულად ერთეულებზე, რომლებიც შეფასებულია თავდაპირველი ღირებულებით.

2024 წლის 31 დეკემბერს, ოფიციალური გაცვლითი კურსი, საქართველოს ეროვნული ბანკის განსაზღვრით, შეადგენდა შემდეგს: 1 აშშ დოლარი (“USD”) = 2.8068 ლარი, 1 ევრო (“EUR”) = 2.9306 ლარი და 100 რუბლი (“RUB”) = 2.5405 ლარი. ხოლო 2023 წლის 31 დეკემბერს, ოფიციალური გაცვლითი კურსი, საქართველოს ეროვნული ბანკის განსაზღვრით, შეადგენდა შემდეგს: 1 აშშ დოლარი (“USD”) = 2.6894 ლარი, 1 ევრო (“EUR”) = 2.9753 ლარი და 100 რუბლი (“RUB”) = 2.9916 ლარი. დღესდღეობით საქართველოს ვალუტა ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, მინუს აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, საჭიროების შემთხვევაში. ძირითადი საშუალებები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილია მათი რეალური ღირებულებით, რომელიც არის პირობითი ღირებულება ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის მინუს აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, საჭიროების შემთხვევაში. რეალური ღირებულების შეფასება განხორციელდა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ და გადაიდო ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის.

შემდგომი ხარჯები შეტანილია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივად, გარემოებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შედინება კომპანიაში და მისი ღირებულების საიმედოდ აღრიცხვა. მცირე რემონტისა და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღრიცხვა ხდება მათი გაწევის შემდეგ. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი კომპონენტების შეცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხელმძღვანელობა ახდენს შეფასებას, ხომ არ შეინიშნება ძირითადი საშუალებების გაუფასურება. ამგვარი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს ასანაზღაურებელ თანხას, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად: აქტივის უმაღლეს სამართლიან ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციის დანახარჯები და მისი სამომხმარებლო ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ასანაზღაურებელ თანხამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხორციელდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი შებრუნდება იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება აქტივის სამომხმარებლო ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული შეფასებითი მაჩვენებლები ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციის ხარჯები.

ძირითადი რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში მოცემული წლის განმავლობაში.

ცვეთა. მიწა და მშენებარე ობიექტები არ ექვემდებარება ცვეთას. ძირითადი საშუალებების სხვა კომპონენტების ცვეთა გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით იმისათვის, რომ მათი ღირებულება მათსავე ნარჩენ ღირებულებებზე გადანაწილდეს, მათი სავარაუდო საექსპლუატაციო ვადების განმავლობაში.

მიწა, შენობები	50 წელი
მანქანა-დანადგარები, კომპიუტერები, ავაჯი და სხვა	3-10 წელი
მსუბუქი ავტომობილები	10-15 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7-8 წელი
არამატერიალური აქტივები	7 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს საანგარიშო თანხას, რომელიც შესაძლოა მოცემული დროისთვის მიიღოს კომპანიამ აქტივის გასხვისებიდან, მინუს გასხვისების საორიენტაციო ხარჯები, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და სასარგებლო საექსპლუატაციო ვადის დასრულებისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში იმყოფება. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო საექსპლუატაციო ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონება.

საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მიერ ფლობილი ქონება, საიჯარო შემოსავლის ან კაპიტალის ფასის გაზრდისთვის, ან ორივე მიზეზით, და არ არის კომპანიის მიერ დაკავებული.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, შემდეგ კი ხდება მასზე ცვეთის დარიცხვა წრფივი მეთოდის გამოყენებით.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წლის მოგება-ზარალში, სხვა შემოსავალში. საინვესტიციო ქონების გასვლიდან მიღებული შემოსულობები ან ზარალი გამოითვლება, როგორც შემოსულობები, შემცირებული საბალანსო ღირებულებით და აისახება სხვა შემოსავალში ან ხარჯებში. შემდგომი დანახარჯები აქტივის საბალანსო ღირებულებაში კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია ამ დანახარჯებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. ყველა დანარჩენი რემონტისა და საექსპლუატაციო დანახარჯები ხარჯებში აისახება მათი გაწევისას. თუ საინვესტიციო ქონებას მესაკუთრე დაიკავებს, ის ძირითად საშუალებებში რეკლასიფიცირდება.

არამატერიალური აქტივები.

კომპანიის არამატერიალური აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო საექსპლუატაციო ვადები და ძირითად მოიცავს კაპიტალიზებლ პროგრამული უზრუნველყოფას და ლიცენზიებს.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზებულია მათი შეძენის და გამოყენებისთვის გაწეული ხარჯების საფუძველზე.

განვითარების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება კომპანიის მიერ კონტროლირებულ იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფას, აღირიცხება როგორც არამატერიალური აქტივები იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მზარდი ეკონომიკური

სარგებელის შემოძენა, რომელიც აჭარბებს ხარჯებს. კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების კომპანიში შემავალი პერსონალის ხარჯებს და შესაბამის ზედნაღებ ხარჯებს. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც კომპიუტერების პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირდება, მაგ. ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება მათი გაწევის მიხედვით.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხორციელდება წრფივი მეთოდით მათი საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში. სასარგებლო გამოყენების ვადები კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფისა და ლიცენზიებისთვის შეადგენს 2-დან 10 წლამდე პერიოდებს.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება სამომხმარებლო და რეალური ღირებულების უმაღლეს ღირებულებამდე, რეალიზაციის ღირებულების გამოკლებით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. არამატერიალურ აქტივები, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადა ან არამატერიალური აქტივები, რომლებიც არ არიან მზად გამოყენებისთვის, არ ექვემდებარება ამორტიზაციას და მოწმდება გაუფასურებაზე ყოველწლიურად. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და ამორტიზაციას, გადაიხედება გაუფასურებაზე როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ დაეჭვემდებაროს ანაზღაურებას. გაუფასურების ზარალი აღიარება ხდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ჩანაცვლების ღირებულებას. ჩანაცვლების ღირებულება აღემატება აქტივის სამართლიან ღირებულებას მინუს რეალიზაციის ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულება. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელზეც ისინი წარმოქმნიან დამოუკიდებელ ფულად ნაკადებს (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების წინა გაუფასურებები გადაიხედება შესაძლო შებრუნებაზე თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადახდილი იქნეს ვალდებულების გადაცემისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგებისას შეფასების თარიღისთვის. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, რომლის პირობებშიც აქტივთან თუ ვალდებულებასთან დაკავშირებული გარიგებები საკმარისი სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება იმისათვის, რომ რეგულარულად იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია ფასების შესახებ.

აქტიურ ბაზარზე ბრუნვაში გაშვებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება განისაზღვრება, როგორც კოტირებული ფასის პროდუქტი ინდივიდუალური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის და საწარმოს მიერ ფლობილი რიგი ინსტრუმენტებისთვის. ეს ეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც ჩვეულებრივი საბაზრო ყოველდღიური სავაჭრო მოცულობა არ არის საკმარისი არსებული რაოდენობის ასათვისებლად და ერთჯერადი გარიგებით პოზიციების გაყიდვასთან დაკავშირებული შეკვეთების განთავსებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კოტირებულ ფასზე

შეფასების მეთოდები, როგორცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი ან დამოუკიდებელ მხარეებს შორის ბოლოდროინდელ გარიგებებზე დაფუძნებული მეთოდები ან ინვესტიციის მიმდების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინება, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დასადგენად, რომლებთან დაკავშირებითაც უცხოური ბაზრების ფასების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია. რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების იერარქიაში მათი დონის მიხედვით (i) პირველი დონის შეფასებებია შეფასებები აქტიურ ბაზრებზე კოტირებულ (არაკორექტირებულ) ფასებად იდენტიური აქტივების ან ვალდებულებებისთვის, (ii) მეორე დონის შეფასებებია შეფასების მეთოდები, რომლებშიც აღინიშნება ყველა მატერიალური დანახარჯი აქტივის ან

ვალდებულებებისთვის, პირდაპირი (როგორც არის ფასები) ან არაპირდაპირი გზით (ანუ ფასებიდან გამოყვანილი), და (iii) მესამე დონის შეფასებებია შეფასებები, რომლებიც არ ემყარება მხოლოდ არსებულ საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან ხელმოუწვდომელ საბაზრო მონაცემებს).

გარიგების ხარჯები არის დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯებია ის ხარჯები, რომლებიც არ შეიძლება გაწეული იქნეს, თუ არ ხორციელდება გარიგება. გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (იმ თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩეველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საკომისიოსა და ანაზღაურებას, მარეგულირებელი სააგენტოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გადარიცხვის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდაკლებებს, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მარაგების შენახვის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება (“AC”) წარმოადგენს თანხას, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იქნა თავდაპირველად აღიარებული, მინუს ძირითადი თანხის დაფარვების თანხა, პლუს დარიცხული პროცენტები, და ფინანსური აქტივებთან მიმართებაში – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (“ECL”) რეზერვის გამოკლებით. დარიცხული პროცენტები მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების ხარჯების და ნებისმიერი პრემიის თუ დისკონტის ამორტიზებას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული პროცენტებით მიღებული შემოსავალი და ხარჯი დაგროვილი კუპონების შემოსავლისა და ამორტიზირებული დისკონტისა ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული მოსაკრებლების ჩათვლით, მათი არსებობის შემთხვევაში), არ არის წარმოდგენილი დამოუკიდებლად და არ არის გათვალისწინებული შესაბამისი პუნქტების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯების შესაბამისი პერიოდზე იმგვარად გადანაწილების მეთოდი, რომ მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის საშუალებითაც ზუსტად ხორციელდება სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორებების ან შემოსავლების დისკონტირება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო მოქმედების ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში (შესაბამის შემთხვევებში), ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საშუალებით ხორციელდება სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის ხელახალი შეფასების მომდევნო თარიღისთვის, პრემიისა და იმ ფასდაკლების გამოკლებით, რომელიც ასახავს საკრედიტო "სპრედს" ინსტრუმენტში განსაზღვრულ მცურავ განაკვეთთან მიმართებაში, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ დგინდება საბაზრო განაკვეთებთან დაკავშირებით. ასეთი პრემიები ან დისკონტები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიან მოსალოდნელ მომსახურების ვადაში. მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშება მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა მოსაკრებელს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილს შეადგენს. პოლიტიკა). აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ შეძენილ ან შექმნილ საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებულ აქტივებს („POCI“) თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება საკრედიტო რისკით, ე.ი. გაანგარიშდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე თავდაპირველი აღიარებისას კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდების ნაცვლად.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები FVTPL (რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში) თავდაპირველად აღრიცხულია რეალური

ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიან ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია ტრანზაქციულ ხარჯებზე. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. თავდაპირველი აღიარებისას, მოგება ან ზარალი აღიარდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტში სხვა მიმდინარე საბაზრო ოპერაციებით ან შეფასების მეთოდით, რომელიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებას დაქვემდებარებულ საბაზრო მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვი აღიარებულია ფინანსურ აქტივებში, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით (AC) და ინვესტიციებში სავალო ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია FVOCI-ით (რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში), რაც იწვევს მყისიერ სააღრიცხვო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შეფასების შემდეგი კატეგორიებით: ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL), რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და ამორტიზირებული ღირებულებით (AC).

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს როგორ მართავს კომპანია აქტივებს ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით – არის თუ არა კომპანიის მიზანი: (i) აქტივებიდან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება („ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი“, ან (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ასევე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების ამორება („ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი სახელშეკრულები ფულადი ნაკადები“) ან თუ არც (i) და არც (ii) პუნქტი არ გამოიყენება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს მოდელის ფარგლებში და იზომება ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL).

ბიზნეს მოდელი განისაზღვრება აქტივების კომპანიასთვის (პორტფელის დონეზე) შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე იმ საქმიანობების შესახებ, რომელსაც კომპანია ახორციელებს შეფასების თარიღისთვის არსებული პორტფელისთვის დასახული მიზნების მისაღწევად. ბიზნეს მოდელსი განსაზღვრისას კომპანიის მიერ გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანს და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმის თაობაზე თუ როგორ იქნა ამოღებული ფულადი ნაკადები შესაბამის აქტივებთან დაკავშირებით, როგორც იქნა შეფასებული და მართული რისკები, როგორ შეფასდა აქტივების ეფექტურობა და როგორ ხდება მენეჯერების კომპენსაცია.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. თუ ბიზნესმოდელი არის აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობა და გაყიდვა, კომპანია აფასებს წარმოდგენილი თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებით (“SPPI”).

თუ სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც არ შეესაბამება საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულია და შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL). SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ არ ხდება მისი გადაფასება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტები რეკლასიფიცირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანობაში იცვლება. რეკლასიფიკაციას აქვს სამომავლო ეფექტი და იწყება პირველი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში, ბიზნეს-მოდელის ცვლილების შემდეგ. საწარმომ არ შეცვალა თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შედარებით პერიოდში და არ განახორციელა არანაირი რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის რეზერვის - ECL-თან დაკავშირებით (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). კომპანია პროგნოზის საფუძველზე, აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) სავალო ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით (AC) და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემესავალში (FVOCI) და რისკებისთვის, რომლებიც წარმოიშობა სასესხო ვალდებულებებიდან და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებიდან საკონტრაქტო აქტივებისთვის. კომპანია აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს ფინანსურ და საკონტრაქტო აქტივებზე თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების შეფასებით, (ii) ფულის დროით ღირებულებას და (iii) ყველა გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევების გარეშე, თითოეული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გასული მოვლენების, არსებული პირობების და მომავალი პირობების პროგნოზების შესახებ.

კომპანია იყენებს ფასს გამარტივებულ მეთოდს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც ითვალისწინებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოყენებას ყველა დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად დებიტორული დავალიანებები ჯგუფდება საკრედიტო რისკის საერთო მახასიათებლების საფუძველზე (დებიტორული დავალიანებები შეიძლება დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, კლიენტთა რეიტინგის, დამატებითი ან სავაჭრო კრედიტების დაზღვევის მიხედვით).

მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტები ეფუძნება გაყიდვების დაფარვის განრიგს გასული 360 თვის განმავლობაში და ამ პერიოდში წარმოქმნილ თავდაპირველ საკრედიტო ზარალს. გასული პერიოდის ზარალის კოეფიციენტები კორექტირდება მიმდინარე და პერსპექტიული ინფორმაციის ასახვის მიზნით მაკროეკონომიკური ფაქტორების შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს კლიენტების დებიტორული დავალიანებების დაფარვის შესაძლებლობაზე.

ფასს 9-ის შესაბამისად გამარტივებული გაუფასურების მიდგომის გამოყენებისას, კომპანიამ განახორციელა შეფასების ოთხი განსხვავებული მეთოდი, დებიტორული ტიპების საფუძველზე:

1. ინდივიდუალური შეფასება მთავრობისგან დებიტორული დავალიანებისთვის;
2. ინდივიდუალური შეფასება ყველა სხვა მატერიალური დებიტორული დავალიანებისთვის (ნაშთი 250 ათას ლარზე მეტი);
3. ყველა სხვა დებიტორული დავალიანებისთვის გამოყენებულ იქნება კოლექტიური შეფასება. საერთო მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებები გაერთიანებულია სხვადასხვა პორტფელში, ერთიანი შეფასებისთვის. კომპანიამ დაადგინა პორტფელის შემდეგი ძირითადი ტიპები (ნაშთი 250 ათას ლარზე ნაკლები): ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურებიდან დარიცხვები (ძირითადად, ინდივიდების დებიტორული დავალიანება), იჯარის დარიცხვები, და სხვა დებიტორული დავალიანებები.

დებიტორული დავალიანება მთავრობასთან

კომპანია მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაში - საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა (UHC). შედეგად, ჯანდაცვის მომსახურებიდან დებიტორული დავალიანების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 70%) განპირობებულია საქართველოს მთავრობისა და მუნიციპალური ხელისუფლების მხრიდან. მთავრობისგან მიღებულ მოთხოვნებს აქვთ უნიკალური საკრედიტო მახასიათებლები, რომლებიც განსხვავდება კომპანიის მიერ ამჟამად არსებული სხვა ფინანსური ინსტრუმენტისაგან. ამ ფაქტისა და შესაბამისი ნაშთის მატერიალურობის გათვალისწინებით, კომპანიამ დაასკვნა, რომ მთავრობიდან მიღებული დავალიანების გაუფასურება უნდა იქნას განხილული ინდივიდუალურად, ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტისგან განცალკევებით.

კომპანია იყენებს საერთაშორისო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებულ საკრედიტო რეიტინგებს, როგორცაა Standard & Poor's ("S&P") ან Moody's- ს, რათა შეაფასოს სახელმწიფო დებიტორული

დავალიანების ხარისხი. ანალოგიურად, იგივე საერთაშორისო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებული საკრედიტო რეიტინგის შესაბამისი “probability of default” (PD) მთავრობისაგან დებიტორული დავალიანების გონივრულ ალბათობად მიიჩნევა. მთავრობიდან დებიტორული დავალიანების PD ემყარება ქვეყნის რისკების შეფასების საფუძველს. კომპანია ხელახლა შეაფასებს გაუფასურების გაანგარიშების დროს გამოყენებულ PD-ს განაკვეთს თითოეულ საანგარიშო თარიღზე.

მატერიალური დებიტორული დავალიანების ინდივიდუალური გაუფასურება

დებიტორებს რომელთა ნაშთი აღემატება 250 000 ლარს, კომპანია განიხილავს ინდივიდუალურად და ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებსა და გარემოებებს. ეს პროცესი შედეგად ორი ძირითადი ეტაპისგან:

1. კომპანიის ფინანსური მდგომარეობა ფასდება შემდეგ საფუძველებზე: ა) ფინანსური შედეგები და თანაფარდობა (რეიშო) (თუ ეს შესაძლებელია); ბ) კომპანიისთვის მისაღები დებიტორული დავალიანების საშუალო ვადაგადაცილების დღეები; და გ) კომპანიისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი სხვა არაფინანსური ინფორმაცია, მაგალითად: ნებისმიერი სიახლე, რომელიც ეხება საბაზრო სექტორს, რომელშიც კონკრეტული მოვალე მუშაობს, მენეჯმენტის გამოკითხვა და ა.შ.;
2. ამ ანალიზზე დაყრდნობით, კომპანიის ხელმძღვანელობამ კატეგორიულად დაყო კომპანიის მენეჯმენტი საკრედიტო რისკის შეფასების შესახებ ინდივიდუალურად. თითოეული საკრედიტო კატეგორიას ენიჭება შესაბამისი საკრედიტო ზარალის მოსალოდნელი კურსი, რომელიც განისაზღვრება გამოცდილების, მენეჯმენტის პროფესიული განსჯის და მომავლის მოლოდინების საფუძველზე. შეფასებები ტარდება კვარტალურად. მაკრო-კორექტირება შედის რეგრესიის შედეგებისა და დამოკიდებულების ფაქტორზე მშპ-ის ზრდაზე დაყრდნობით.

ამ მოდელში ფინანსური თანაფარდობები განახლდება ყოველწლიურად, კომპანიის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების შემდეგ, ხოლო საშუალო ვადაგადაცილებული დღეების განმავლობაში, არაფინანსური ინფორმაცია და მომავლის მოლოდინები ყოველთვიურად განახლდება.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც კომპანია ამოწურავს აღდგენის ყველა პრაქტიკულ ზომას და არ გააჩნია გონივრული მოლოდინი იმისა, რომ აქტივი ანაზღაურდება. ჩამოწერა ისეთი მოვლენაა, რომელიც იწვევს აღიარების შეწყვეტას. კომპანიას შეუძლია ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომლებიც კვლავ ექვემდებარება ამოღებას, როდესაც კომპანია ცდილობს კონტრაქტით გათვალისწინებული თანხების ამოღებას, თუმცა არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ასეთ თანხებს აინაზღაურებს.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებები სხვაგვარად შეწყდება, ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსურ აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე ან დადო სპეციალური ტრანზიტული შეთანხმება, რომლის თანახმად (i) კომპანიამ გადასცა აქტივების ფლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკი და სარგებელი ან (ii) კომპანიას არ გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივების ფლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკი და სარგებელი, გარდა მათზე კონტროლის უფლებისა.

კონტროლის უფლება ნარჩუნდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა სრულად მიყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე მხარეს, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც შემდგომ შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით, გარდა (i) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია FVTPL-ით (რეალური ღირებულებით

მოგება-ზარალში): ეს კლასიფიკაცია ვრცელდება წარმოებულ ინსტრუმენტებზე, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგალითად მოკლე პოზიცია ფასიან ქაღალდებში), პირობით ანაზღაურებაზე, რომელიც აღიარებულია შემძენის მიერ ბიზნესის გაერთიანებაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც განსაზღვრულია ამ სახით თავდაპირველი აღიარებისას; და (ii) ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ე.ი. როდესაც კონტრაქტში მითითებული ვალდებულება შესრულებდა, გაუქმდება ან ამოიწურება).

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ იწვევს დაფარვას, ითვლება ცვლილებად შეფასებაში წინა რიცხვით ამორტიზაციის დარიცხვის კუმულაციური პროცედურის გამოყენებით, მოგება-ზარალში აღიარებული მოგებით ან ზარალით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბალანსო ღირებულებებში სხვაობის ეკონომიკური არსი უკავშირდება კაპიტალურ გარიგებას მფლობელებთან.

ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა განხორციელდება და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წმინდა თანხა აისახება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული ტანხების ურთიერთჩათვლის კანონით განსაზღვრული უფლება, და არსებობს განზრახვა, რომ ჩათვლა განხორციელდეს ნეტო-საფუძველზე, ან ერთდროულად მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა. ჩათვლის ასეთი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული მომავალ შემთხვევაზე და (ბ) და უნდა იყოს იურიდიულად ქმედუნარიანი ყველა შემდეგ შემთხვევაში: (i) საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში, (ii) ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, მოთხოვნამდე ანაზღაურებას ბანკში და სხვა მოკლევადიან, მაღალი სიხშირის ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა შეადგენს სამ თვეს ან უფრო ნაკლებ პერიოდს. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) თუ ისინი არ არის შეტანილი საკონტრაქტო პირობებში იმ სახით, რომ აღნიშნული პრინციპი გამოყენებული იქნებოდა კანონმდებლობის შესწორების შემთხვევაშიც, ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და იმ ფულადი ნაკადების ამოსაღებად, რომლებიც წარმოადგენს SPPI-ს (მხოლოდ ძირითადი და პროცენტის გადახდა), და (ii) ისინი არ არის განსაზღვრული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL). პრინციპები, რომლებიც გათვალისწინებულია მხოლოდ კანონმდებლობით, როგორცაა რესტრუქტურისაციის კანონი კონკრეტულ ქვეყნებში, არ ახდენს გავლენას SPPI ტესტზე, შემდგომი შეცვლის შემთხვევაშიც კი. შეზღუდული გამოყენების ნაშთები გამოირიცხება ფულიდან და ფულის ექვივალენტებიდან, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის. ნაშთები, რომელთა გაცვლა ან გამოყენება ვალდებულებების დასაფარად აკრძალულია საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში, შეტანილია სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები აღიარებულია თავდაპირველად რეალური ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები აღიარებულია თავდაპირველად რეალური ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სესხები. სესხები აღიარებულია თავდაპირველად რეალური ღირებულებით, გაწეული საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სასესხო ხარჯების კაპიტალიზაცია. იმ აქტივების შეძენასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული საერთო და კონკრეტული სასესხო ხარჯების კაპიტალიზაცია, რომლებიც არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით და საჭიროებს დიდ დროს დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის ან გასაყიდად მომზადებისთვის (კვალიფიცირებული აქტივი) ხორციელდება როგორც აღნიშნული აქტივების ხარჯების ნაწილი, თუ კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი დგება 2009 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი დგება, როდესაც: (ა) კომპანია გაწევს ხარჯებს კვალიფიცირებულ აქტივზე; (ბ) გაწევს სასესხო ხარჯებს; და (გ) შეასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელიც საჭიროა აქტივის მოსამზადებლად დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

სასესხო ხარჯების კაპიტალიზაცია გაგრძელდება იმ თარიღამდე, როდესაც აქტივები არსებითად მზად იქნება დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

კომპანია ახდენს სასესხო ხარჯების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია, თუ ის არ გაწევდა კაპიტალურ ხარჯებს კვალიფიცირებულ აქტივებზე. კაპიტალიზებული სასესხო ხარჯები გამოანგარიშდება კომპანიის დაფინანსების საშუალო ღირებულების საფუძველზე (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯები გამოიყენება კვალიფიცირებული აქტივების ხარჯებზე) იმ შემთხვევების გარდა, როდესაც რომ სესხების აღება კონკრეტულად კვალიფიცირებული აქტივის შესყიდვის მიზნით ხდება. ასეთ შემთხვევაში სესხების ფაქტობრივი ხარჯები, აღნიშნული სესხების დროებითი ინვესტირებით მიღებული საინვესტიციო შემოსავლების გამოკლებით, ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

საოპერაციო იჯარები. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მოიჯარეს წარმოადგენს იმ ტიპის იჯარის შემთხვევაში, როდესაც მეიჯარის მხრიდან არ ხდება კომპანიისთვის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა, საერთო საიჯარო გადასახადი აისახება მოცემული წლის მოგებასა ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის მთლიან ვადაში. იჯარის პერიოდი არის უწყვეტი პერიოდი, რომელშიც მოიჯარემ გააფორმა ხელშეკრულება აქტივის იჯარასთან დაკავშირებით, და არის ნებისმიერი შემდგომი ვადები, როდესაც მოიჯარეს შეუძლია განაგრძოს აქტივის იჯარა დამატებითი გადახდით ან მის გარეშე, თუ იჯარის დასაწყისშივე არსებობს სათანადო საფუძველი იმისა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშგების პერიოდის დასრულებისას მოქმედი ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ განახორციელა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კანონში, რომლის საფუძველზე კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ლომბარდები) არ არიან ვალდებული გადაიხადონ მოგების გადასახადი მიღებულ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან, სანამ ასეთი მოგება არ განაწილდება ან განაწილებულად არ ჩაითვლება დივიდენდის ფორმით.

15%-იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებელში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში და 0.85-ზე გაყოფით) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებული მოგებიდან არ იბეგრება.

დივიდენდები მოგებაზე, რომელიც დაგროვებულია 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, იბეგრება მოგების გადასახადით გაანგარიშებული მთლიან მაჩვენებლებზე.

გამოკლებული საგადასახადო შეღავათი, რომელიც გამოთვლილია, როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა – მთლიან წმინდა მოგებასთან მიმართებით იმავე პერიოდში, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა საგადასახადო შეთავაზის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილების შედეგად, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც გადახდილ იქნა დივიდენდები. პირობითი მოგების საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდის შემდეგ, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა თანხებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. იმ საწარმოებისთვის გადახდილი ყველა ავანსი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში და სხვა კონკრეტული გარიგებები ასეთ საწარმოებთან, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები დაუყოვნებლივ ექვემდებარება დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახადო შეღავათის გამოქვითვის შემდეგ, რომელიც მოითხოვება აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე იმ საწარმოებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში ან ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ, აისახება გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებს ხელახლა აფასებს ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აისახება გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებიც ხელმძღვანელობის შეფასებით დიდი ალბათობით გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას, თუ ეს პოზიციები სადავო გახდება საგადასახადო ორგანოების მიერ. შეფასება ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესული საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე. ვალდებულებები ჯარიმებთან, პროცენტებთან და გადასახადებთან დაკავშირებით, მოგების გადასახადის გარდა, აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ იმ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომლებიც აუცილებელია ვალდებულებების დასაფარად საანგარიშო პერიოდის ბოლოს. მოგების გადასახადის გაურკვეველი პოზიციების კორექტირება აისახება მოგების გადასახადის ფარგლებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. დღ-ით დაბეგვრის ობიექტია: ა) დასაბეგრი ოპერაცია; ბ) იმპორტი; გ) ექსპორტი, რექსპორტი; დ) დროებითი შემოტანა. დღ-ით დასაბეგრი ოპერაციებია: ა) საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა ან არაუგვიანეს მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდის მომენტისა, თუ თანხის გადახდა ხორციელდება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე; ბ) დღ-ით შემენილი საქონლის/მომსახურების გამოყენება არაეკონომიკური საქმიანობისათვის, თუ ამ საქონელზე/მომსახურებაზე გადამხდელმა მიიღო დღ-ის ჩათვლა, გ) დღ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში საქონლის ნაშთი, რომელზედაც გადამხდელს მიღებული აქვს ჩათვლა, დ) საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენება, ე) საწარმოდან ან/და ამხანაგობიდან წილის სანაცვლოდ მომსახურების ან საქონლის ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღება, ვ) იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას მოიჯარის მიერ ძირითადი საშუალებების მეიჯარისათვის დაბრუნება, ზ) ტურისტული საწარმოს სტატუსის მოქმედების ვადის

გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას სტატუსის გაუქმების მომენტი. ბიუჯეტში შესატანი დღგ მოიცავს: ა) დასაბეგრი ბრუნვიდან ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა დასაბეგრი ბრუნვაზე დარიცხულ დღგ-ის თანხასა და ჩასათვლელ დღგ-ის თანხებს შორის; ბ) საქონლის იმპორტისას ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას; გ) საქონლის დროებითი შემოტანისას ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას; დ) უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ოპერაციიდან ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას.

სასაქონლო-საწარმოო მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა რეალიზებად ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მარაგების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს და აუნაზღაურებად გადასახადებს და სატრანსპორტო, დამუშავების და საქონლის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. სასაქონლო მარაგების ხარჯი განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. წმინდა რეალიზაციის ღირებულება არის საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში სავარაუდო გასაყიდ ღირებულებას გამოკლებული დასრულებისა და რეალიზაციის ხარჯები.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აისახება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ავანსები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების შეძენის მოსალოდნელი ვადა დადგება ერთი წლის შემდეგ ან როდესაც აღნიშნული ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად არის კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდების თანხები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია იძენს აქტივზე კონტროლის უფლებას და როდესაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს. სხვა სახის წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებას ან ზარალში, როდესაც მიიღება ასეთ გადახდებთან დაკავშირებული საქონელი და მომსახურება. თუ არსებობს მინიშნება, რომ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, შესაბამისად ჩამოიწერება წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (მაგალითად ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და სხვა) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამდე, სანამ გაიცემა ნებართვა ფინანსური ანგარიშების გამოშვებაზე, ასახულია შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები. ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადის ან ოდენობის მქონე არაფინანსურ ვალდებულებებს. ისინი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, არის იმის ალბათობა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭირო გახდება ეკონომიკურ სარგებელთან დაკავშირებული რესურსების გადინება, და შესაძლებელი იქნება ვალდებულების თანხა სარწმუნოდ შეფასება. რეზერვები გაანგარიშდება ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილ იქნას ვალდებულების დასაფარად დაბეგვრამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების და ვალდებულებისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. დროთა განმავლობაში რეზერვის ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯად.

მოსაკრებლები და გადასახადები, როგორცაა გადასახადები, მოგების გადასახადის ან მარეგულირებელი მოსაკრებლების გარდა, იმ პერიოდთან დაკავშირებული ინფორმაციის

საფუძველზე, რომელმაც წარმოიშვა გადახდის ვალდებულება, აღიარებულია ვალდებულებებად, როდესაც დადგება სავალდებულო მოვლენა, რომელიც განაპირობებს მოსაკრებლების გადახდას, როგორც განისაზღვრება კანონმდებლობით მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების შესახებ. თუ მოსაკრებელი გადაიხდება სავალდებულო მოვლენამდე, ის აღიარდება წინასწარ გადახდად.

თუ კომპანია ვარაუდობს რეზერვის ანაზღაურებას, მაგალითად, სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება პრაქტიკულად ექვს არ იწვევს.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავალი წარმოიშობა კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობების პროცესში. შემოსავალი აღიარებულია გარიგების ფასის ოდენობით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების თანხა, რომელზეც კომპანია უფლებამოსილი იქნება კლიენტისთვის შეპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის უფლების გადაცემის სანაცვლოდ. შემოსავალი აღიარებულია დისკონტების, შემოსავლების და დამატებული ღირებულებების გადასახადების გარეშე. კომპანიამ ზოგადად დაასკვნა, რომ ის წარმოადგენს პრინციპალს შემოსავლის შეთანხმებებში, რადგან ის, როგორც წესი, აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მათ მომხმარებელზე გადაცემამდე. შემოსავლის აღიარებისთვის ასევე უნდა კმაყოფილდებოდეს შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმები.

ჯანდაცვის სერვისები, რომლებსაც კომპანია კლიენტებს უწევს, კმაყოფილდება დროთა განმავლობაში, იმის გათვალისწინებით, რომ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიის მიერ უზრუნველყოფილ შეღავათებს. ჯანდაცვის სერვისების შემოსავალი მოიცავს შემოსავლის ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურებების უზრუნველსაყოფად და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- სახელმწიფოდან მიღებული შემოსავალი - იმ პირებზე, რომლებიც დაზღვეულნი არიან სახელმწიფო პროგრამებით, კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპზე და კონტრაქტორებს შორის შეთანხმებული პირობების გათვალისწინებით.
- სამედიცინო მომსახურების შემოსავალი სადაზღვევო კომპანიებიდან - იმ პირებზე, რომლებიც დაზღვეულნი არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიების მიერ, კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპზე და კონტრაქტორებს შორის შეთანხმებული პირობების გათვალისწინებით.
- სამედიცინო მომსახურების შემოსავალი მიღებული უშუალოდ კლიენტისგან (დაზღვევის გარეშე) და სხვა. - კომპანია უშუალოდ კლიენტისგან მიღებულ და სხვა შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპზე და დამტკიცებულ ფასებზე დაყრდნობით. გაყიდვები, ძირითადად, ნაღდი ანგარიშსწორებით ან საკრედიტო ბარათით ხდება. სამედიცინო მომსახურებიდან სხვა შემოსავლები მოიცავს მუნიციპალიტეტებისა და სხვა საავადმყოფოების შემოსავალს, რომლებთანაც კომპანიას აქვს ხელშეკრულებითი ურთიერთობა. მომსახურების გაყიდვა აღიარებულია იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც მომსახურების გაწევა ხდება და გამოითვლება სახელშეკრულებო ტარიფების შესაბამისად.

შემოსავლები წარმოდგენილია შესწორებებისა და ფასდათმობის გარეშე, რომლებიც ზოგჯერ წარმოიქმნება კონტრაქტორებთან (ძირითადად სახელმწიფოსთან) დეტალური გადასახადების შეჯერების შედეგად. ინვოისის კორექტირებები მოსალოდნელია ხელშეკრულების დაწყებისთანავე. მომავალი შესაძლო შესწორებებისა და ფასდათმობის შეფასების გამოანგარიშება ხდება სტატისტიკური საშუალო კორექტირების მაჩვენებლის საფუძველზე, რომელიც გამოიყენება იმ ინვოისების მთლიან ოდენობაზე, რომლებიც არ იყო დამტკიცებული სახელმწიფოს მიერ ანგარიშგების თარიღამდე. კომპანიის მთლიანი შემოსავალი (მისი კორექტირებისა და ფასდათმობის მიღებამდე) დაფუძნებულია მომხმარებლებისთვის (სახელმწიფო, სადაზღვევო კომპანიების, მიმწოდებელი

კლინიკებისა და პირების) წარდგენილ და დადასტურებულ ოფიციალურ ინვოისებზე დაყრდნობით, ასევე უკვე შესრულებულ, მაგრამ ჯერ კიდევ დაურიცხავ მომსახურებაზე.

სამედიცინო მომსახურების ღირებულება

სამედიცინო მომსახურების მიწოდების ხარჯებს, წარმოადგენს ისეთი დანახარჯები რომლებიც პირდაპირ კავშირშია გაწეულ სამედიცინო მომსახურებასთან, საიდანაც კომპანია იღებს შემოსავალს, მათში შედის სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება და პრემიები, მასალები და მარაგი, კომუნალური მომსახურება და სხვა პირდაპირი ხარჯები.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დროითი პროპორციის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასები, სარგო, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი (როგორცაა ჯანდაცვის მომსახურებები და საბავშვო ბაღები) დაირიცხება წლის განმავლობაში, რომელშიც გაწეულია დაკავშირებული მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანია არ გაწევს ხარჯებს საპენსიო ან სხვა ანაზღაურებას შრომითი საქმიანობის დასრულების შემდეგ თავისი თანამშრომლებისთვის.

ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოშვების შემდეგ. საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დამტკიცებას, რომელიც იძლევა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვას.

3. ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2024 წლის 1 იანვრიდან:

- შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ბასს 1-ის შესწორებები: ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია(თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).
- ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები:განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

აღნიშნული სტანდარტების ცვლილებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. სააღრიცხვო კრიტიკული შეფასებები და შეფასების უტყუარობის ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობები მუდმივად კონტროლდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების პერსპექტივებს, რაც გონივრულად ჩაითვლება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა იმ მსჯელობების გარდა, რომლებიც შეფასებებს მოითხოვს, აგრეთვე იყენებს სხვა მსჯელობებს. მსჯელობები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს: **კრიტიკული შეფასებები გამოსაყენებელ სააღრიცხვო პოლიტიკაში**

შემდგომში მოცემული არის კრიტიკული შეფასებები, გარდა იმ ნაგულისხმევი შეფასებებისა (იხილეთ ქვემოთ), რომლებიც სამართალსუბიექტის მენეჯმენტმა გააკეთა სამართალსუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკის მიღების პროცესში და რომლებიც ახდენენ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ აღრიცხვებში აღიარებულ თანხებზე.

შემოსავლის აღიარება

მენეჯმენტმა თავიანთი შეფასებების გაკეთებისას, გაითვალისწინა დეტალური კრიტერიუმები ფასს 15-ში მითითებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისა და კერძოდ დააკმაყოფილა თუ არა ორგანიზაციამ თავისი შესრულების ვალდებულება. სამართალსუბიექტის ფინანსური ვალდებულებების დეტალური რაოდენობის განსაზღვრის შემდეგ, მისი შესრულების ვალდებულების განხორციელების შესაბამისად, და შეთანხმებული შეზღუდვა მომხმარებლის შესაძლებლობებზე, რომ მოითხოვოს შემდგომი მუშაობა, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადაცემულია და შემოსავლის აღიარება მიმდინარე წელს არის შესაბამისი, სათანადო შესრულების ვალდებულების განხორციელებისთვის შესაფერისი მარაგის აღიარებასთან ერთად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო, ფისკალური და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციებს.

2016 წლის მაისში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილება კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის მოდელში, 2017 წლის 1 იანვარს ძალაში შესული ცვლილებებით ყველა სამართალსუბიექტისთვის, გარდა გარკვეული ფინანსური დაწესებულებებისა. შეცვლილი მოდელი იყენებს ნულოვან კორპორაციულ საგადასახადო განაკვეთს შენარჩუნებულ მოგებაზე და 15% კორპორაციული საგადასახადო განაკვეთი განაწილებულ მოგებაზე, შედარებით 15%-იანი კორპორაციული საგადასახადო განაკვეთის წინა მოდელთან, რომელიც დაკისრებული იყო კომპანიის მოგებაზე გადასახადით დაბეგვრამდე, მიუხედავად შეკავების ან განაწილების სტატუსისა. ცვლილებამ დაუყოვნებლივ მოახდინა გავლენა გადავადებულ საგადასახადო აქტივისა და გადავადებულ საგადასახადო ვალდებულების ბალანსებზე, რომლებიც მიეკუთვნება ადრე აღიარებულ დროებით სხვაობებს, წარმოქმნილს წინა პერიოდებიდან.

დაკავშირებული მხარის ფინანსური გარიგებების პირველადი აღიარება

ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობის დროს, კომპანია დებს ფინანსურ გარიგებებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები 39 საჭიროებს ფინანსური საშუალებების პირველად აღიარებას, მათი რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით. შეფასება გამოიყენება იმის განსაზღვრაში, ფასდება თუ არა გარიგება საბაზრო ან არაკონკურენტულ ფასებში, მაშინ როცა არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი ფინანსური გარიგებებისთვის. შეფასების საფუძველი არის ფასწარმოქმნა მსგავსი ტიპის ფინანსური გარიგებებისთვის, რომლებიც არ უკავშირდება მხარეებს.

ქონებისა და აღჭურვილობის სარგებლოიანობის ხანგრძლივობა

კომპანიამ გამოიყენა შეფასება პირადი დამცავი მოწყობილობის სარგებლოიანობის ხანგრძლივობის განსაზღვრისას, იმგვარი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური და კომერციული დამძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება ფიზიკური აქტივობისა და მოსალოდნელი ცვეთის სავარაუდო შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. ასევე, მენეჯმენტმა საუკეთესო შეფასება შეადგინა აქტივში შემავალი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მომხმარების ნიმუშის განსაზღვრაში, ისინი არსებითად შესაძლოა განსხვავდებოდნენ ფაქტიური შედეგებისგან, რაც შესაძლოა მატერიალურ გავლენას ახდენდეს ფინანსურ ანგარიშში წარმოდგენილ ციფრებზე.

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურება ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიას მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული მომხმარებლების ანგარიშების ამოღება. თუ არსებობს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესების ნიშნები, შესაბამისი მისაღები ანგარიშები გაუფასურებულად ჩაითვლება. ამგვარი გაუარესების ნიშნების დადგენის მთავარი კრიტერიუმია მომხმარებლების მიერ დავალიანების დაფარვის ხარისხი, რომელიც ფასდება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობით (ე.ი. რამდენი დღით დაგვიანდა გადახდა). მომხმარებლების მიერ მიმდინარე და ძველი დავალიანების დაფარვის შესაბამისი ანალიზის საფუძველზე კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გამოიყენება სათანადო დარეზერვების განაკვეთი, რომელიც ასახავს დავალიანების დაფარვის კონკრეტულ კატეგორიასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს. თუ ასეთი მტკიცებულება არ არსებობს, შესაბამისი მისაღები ანგარიშები ფასდება კოლექტიურად, როგორც კარგი ხარისხის მქონე, მაღალი საკრედიტო ხარისხის მქონე მისაღები ანგარიშებში, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებისა და ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე, რაც ფაქტობრივად გულისხმობს ვადაგადაცილებული დღეების არაარსებით ოდენობას.

შპს „არქიმედეს კლინიკა“
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა, შენობები	ფინანსური იჯარა	მანქანა- დანადგარები, კომპიუტერები, ავაჯი და სხვა	მსუბუქი ავტომო ბილები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	არამატერ იალური აქტივები	დაუმთა ვრებელი მშენებლობა	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>								
დეკემბერი 31, 2022	219,193	4,961,735	7,211,422	289,472	1,368,791	5,739	15	14,056,367
მატება	-	-	1,012,415	-	8,722	-	205,694	1,226,831
კლება	-	-	(11,083)	-	-	-	-	(11,083)
დეკემბერი 31, 2023	219,193	4,961,735	8,212,754	289,472	1,377,513	5,739	205,709	15,272,115
მატება	-	-	303,587	-	325,825	-	83,863	713,275
კლება	-	-	(5,279)	-	-	-	(256,789)	(262,068)
დეკემბერი 31, 2024	219,193	4,961,735	8,511,062	289,472	1,703,338	5,739	32,783	15,723,322
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>								
დეკემბერი 31, 2022	(48,386)	(3,530,595)	(5,099,446)	(151,036)	(325,335)	(4,587)	-	(9,159,385)
მიმდინარე წლის ცვეთა	(4,379)	(476,612)	(840,481)	(28,669)	(185,031)	(246)	-	(1,535,418)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	587	-	-	-	-	587
დეკემბერი 31, 2023	(52,765)	(4,007,207)	(5,939,340)	(179,705)	(510,366)	(4,833)	-	(10,694,216)
მიმდინარე წლის ცვეთა	(4,379)	(476,612)	(912,049)	(26,386)	(218,955)	(246)	-	(1,638,627)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2024	(57,144)	(4,483,819)	(6,851,389)	(206,091)	(729,321)	(5,079)	-	(12,332,843)
<i>საბალანსო ღირებულება</i>								
დეკემბერი 31, 2022	170,807	1,431,140	2,111,976	138,436	1,043,456	1,152	15	4,896,982
დეკემბერი 31, 2023	166,428	954,528	2,273,414	109,767	867,147	906	205,709	4,577,899
დეკემბერი 31, 2024	162,049	477,916	1,659,673	83,381	974,017	660	32,783	3,390,479

6. მარაგები

კომპანიის მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
მედიკამენტები და სახარჯი მასალა	592,183	557,255
ნედლეული და მასალები	3,194	3,313
სულ	595,377	560,568

შპს „არქიმედეს კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შემდეგნაირად არის წარმოდგენილი 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
სახელმწიფო პროგრამები	2,891,372	3,134,723
დაზღვევა	1,327,055	1,345,608
სხვა მოთხოვნები სამედიცინო საქმიანობიდან	46,747	26,747
ხელშეკრულებით მომსახურების გაწევა	61,299	48,579
გაცემული ავანსები	106,172	153,320
მუნიციპალიტეტები	48,162	26,231
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(449,237)	(482,945)
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	17,326	22,335
სულ	4,048,896	4,274,598

სავაჭრო და სხვა დავალიანება ძირითადად მოიცავს კომპანიის მიერ გაწეული მომსახურებისათვის, კომპანიის პროვაიდერების მხრიდან დავალიანებას.

პირობები აღიარებულია, როდესაც საწარმოს გააჩნია მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული), როგორც შედეგი წარსული მოვლენისა, შესაძლებელია, რომ საწარმოს მოეთხოვებოდეს ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების დასაფარად საჭირო საუკეთესო ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

პირობად აღიარებული თანხა წარმოადგენს საუკეთესო ხარჯთაღრიცხვას, რომელიც აუცილებელია საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული ვალდებულების დასაფარად, ვალდებულების ირგვლივ არსებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით.

როდესაც ეკონომიკური ბენეფიტის რაიმე ნაწილი მოითხოვს ისეთი პირობის დადგენას, რომელიც გულისხმობს მესამე მხარისაგან დაფარვას, დებიტორული დავალიანება მოისაზრება როგორც აქტივი, თუკი ის ფაქტობრივად დაადასტურებს, რომ ანაზღაურება იქნება მიღებული და მისაღები თანხის ოდენობა საიმედოდ იქნება შეფასებული.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები არ მოიცავს პროცენტს და ზოგადად გააჩნიათ 30 დღიანი ვადა. საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის განისაზღვრება ცხრილში წარმოდგენილი მატრიცის შესაბამისად. მატრიცა ეფუძნება დღეების რაოდენობას, როდესაც აქტივი გადავადებულია, პროგნოზული ინფორმაციის კორექტირებები არ მოითხოვება.

31 დეკემბერი, 2023	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	Total
სრული თანხა	3,237,456	7,725	7,311	1,122,051	10,864	196,480	4,581,888
სარეზერვო თანხა	-	(155)	(366)	(280,513)	(5,432)	(196,480)	(482,945)
სხვაობა	3,237,456	7,571	6,946	841,538	5,432	-	4,098,943

31 დეკემბერი, 2024	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	Total
სრული თანხა	3,108,692	2,471	1,958	1,104,998	2,003	171,839	4,391,961
სარეზერვო თანხა	-	(49)	(98)	(276,249)	(1,002)	(171,839)	(449,237)
სხვაობა	3,108,692	2,422	1,860	828,749	1,001	-	3,942,724

შპს „არქიმედეს კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
ფული საბანკო ანგარიშებზე	8,804	67,659
ნაღდი ფული საღაროში	1,131	558
სულ	9,935	68,217

ფულადი სახსრების ნაშთები საბანკო ანგარიშებზე შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც დაბალი რისკის მქონე, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბანკებში, სადაც კომპანიას აქვს მიმდინარე ანგარიშები საიმედო ქართული საკრედიტო დაწესებულებებია.

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
B+	6,414	378
BB-	2,390	67,281
ნაშთი	8,804	67,659

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	3,106,709	2,652,172
გადასახდელი ხელფასები	1,844,786	1,721,976
მიმდინარე ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	190,077	92,377
სხვა ვალდებულებები	60,048	6,291
მიღებული ავანსები	4,020	2,251
ვალდებულებები პროვაიდერების წინაშე	48,664	137,924
ფიზიკური პირის მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულება	23,407	15,018
სულ	5,277,711	4,628,009

10. მოკლევადიანი სესხები

კომპანიის მოკლევადიანი სესხები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
მოკლევადიანი საბანკო სესხი	739,815	954,885
მოკლევადიანი სესხი ფიზიკური პირისგან	-	30,000
ნაშთი	739,815	984,885

შპს „არქიმედეს კლინიკა“

**ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

	2024	2023
ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 01 იანვრის მდგომარეობით	984,885	625,246
ნასესხები სახსრები	-	2,829,972
საპროცენტო ხარჯი	110,529	119,748
სესხის ძირითადი თანხის დაფარვა	(245,070)	(2,470,333)
გადახდილი პროცენტი	(110,529)	(119,748)
ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	739,815	984,885

11. გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიის გრძელვადიანი ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
ვალის დათმობა/უროლოგიის ეროვნული ცენტრი	141,500	141,500
გრძელვადიანი სესხები	358,981	358,981
საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხები	10,200	10,821
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება	4,454	4,454
სულ	515,135	515,756

გრძელვადიანი სესხები არ წარმოადგენს ბანკიდან აღებულ სესხს. კომპანიას აღნიშნული ვალდებულება აქვს სახელწიფო სესხის საფუძველზე.

12. ფინანსური იჯარა

კომპანიის ფინანსური იჯარა 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

ფინანსური იჯარა	31 დეკემბერი , 2024	ძირითად ი თანხის დაფარვა	საპროცენტ ო განაკვეთი	გადახდილ ი პროცენტი	დარიცხულ ი პროცენტი	ძირითად ი თანხის ზრდა	31 დეკემბერი , 2023
ლაგოდეხის კლინიკა	218,420	201,680	8%	26,320	26,320	-	420,100
წნორის კლინიკა	264,403	244,140	8%	31,860	31,860	-	508,543
სენაკის კლინიკა	114,958	106,148	8%	13,852	13,852	-	221,106
ფინანსური იჯარა	84,433	88,652	8%	32,730	32,730	-	173,085
შპს ჯანმრთელობა							
სულ	682,214	640,620		104,762	104,762		1,322,834

შპს „არქიმედეს კლინიკა“

**ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

ფინანსური იჯარა	31 დეკემბერი, 2023		ძირითადი თანხის დაფარვა		საპროცენტო გადახდილი დარიცხული პროცენტი		31 დეკემბერი, 2022	
ლაგოდების კლინიკა	420,100	186,224	8%	41,776	41,776	-	606,324	
წნორის კლინიკა	508,543	225,429	8%	50,571	50,571	-	733,972	
სენაკის კლინიკა	221,106	98,013	8%	21,987	21,987	-	319,119	
კომპიუტერული ტომოგრაფი	173,085	5,990		2,649	2,649	179,075	-	
სულ	1,322,834	515,656		116,983	116,983		1,659,415	

13. შემოსავალი მომსახურებიდან

კომპანიის შემოსავლები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
სტაციონარი	10,749,010	10,803,681
ამბულატორია	3,619,055	3,380,746
სხვა შემოსავლები	13,809	26,399
სულ	14,381,874	14,210,825

14. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

კომპანიის გაწეული მომსახურების თვითღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
შრომის ანაზღაურება	6,563,100	6,749,293
მედიკამენტების ხარჯი	3,045,130	3,416,925
ცვეთის ხარჯი	1,475,516	1,381,876
კომუნალური ხარჯი	643,406	715,059
სამედიცინო მომსახურების ხარჯები	225,937	529,394
საიჯარო ქირა	755,434	488,494
პაციენტების კვების ხარჯი	351,137	343,886
სამეურნეო ხარჯი	103,010	137,785
მიწოდების სხვა ხარჯები	109,826	116,994
საწვავის ხარჯი	73,722	107,562
პოლიგრაფიული მომსახურება	23,107	26,366
კომპიუტერული მპროგრამა Webmed-ის მომსახურების ხარჯი	12,000	12,000
სხვა საოპერაციო ხარჯები	122,416	-
სულ	13,503,741	14,025,634

შპს „არქიმედეს კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
შრომის ანაზღაურება	1,478,045	1,238,354
ცვეთის ხარჯი	163,111	153,542
სხვა ხარჯი	23,830	76,567
ოფისის ხარჯი	242,877	98,977
საიჯარო ქირა	81,710	77,627
საწვავის ხარჯი	47,977	48,875
კომუნიკაციის ხარჯები	39,417	44,663
რემონტი	9,683	19,617
დაზღვევა	15,383	16,040
კომუნალური ხარჯი	15,744	10,124
საკონსულტაციო ხარჯები	28,131	7,750
საკანცელარიო/კომპიუტერის ხარჯი	5,639	5,849
საპენსიო ხარჯი	92,143	90,374
ბანკის ხარჯი	7,696	3,051
სამეურნეო ხარჯი	3,444	5,006
სულ	2,254,830	1,896,416

16. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

კომპანიის სხვა არასაოპერაციო შემოსავლები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტები	372,172	312,196
საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირება	33,708	36,673
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	21,594	1,052
სულ	427,474	349,921

17. მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა მიმდინარე კორპორაციული დაბეგვრის მოდელის ცვლილება ყველა საწარმოსათვის, გარდა კონკრეტული ფინანსური დაწესებულებისა, 2017 წლის 01 იანვრიდან ძალაში შესვლას დაქვემდებარებული ცვლილებებით. შეცვლილი მოდელი გულისხმობს ნულოვანი კორპორაციული გადასახადის განაკვეთს შენარჩუნებულ მოგებაზე და 15 %-იან კორპორაციულ საგადასახადო განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე, შედარებული კომპანიის წინა მოდელთან - 15%-იანი საგადასახადო განაკვეთთან, შენარჩუნების ან განაწილების სტატუსის მიუხედავად. ცვლილებამ დაუყოვნებლივი ზეგავლენა იქონია გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებზე, რაც წინა პერიოდებში წარმოშობილ დროებით სხვაობებს განეკუთვნება.

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
მოგების გადასახადი	303	28,417
სულ	303	28,417

ფინანსური ინსტრუმენტები

კაპიტალის მართვა

საწარმო მართავს საკუთარ კაპიტალს, რათა უზრუნველყოს, რომ საწარმოში შემავალ სუბიექტებს შეეძლებათ თავიანთი საქმიანობის გაგრძელება, დაინტერესებული მხარეებისათვის შემოსავლიანობის მაქსიმიზაციით, დავალიანების ბალანსისა და აქციონერული კაპიტალის ოპტიმიზაციის გზით. საწარმოს საერთო სტრატეგია 2016 წლიდან უცვლელია.

საწარმოს კაპიტალის სტრუქტურა შედგება წმინდა დავალიანებისა და საწარმოს აქციებისაგან. საწარმოზე არ მოქმედებს გარედან დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

ფინანსური რისკების მართვის მიზნები

ორგანიზაციის კორპორატიული ხაზინის ფუნქცია უზრუნველყოფს ბიზნესის მომსახურებას, კოორდინაციას უწევს ხელმისაწვდომობას შიდა და საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე, აკონტროლებს და მართავს ფინანსურ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ოპერაციებთან შიდა რისკის ანგარიშების საშუალებით, რომელიც აანალიზებს ექსპოზიციებს რისკების ხარისხით და მასშტაბებით. აღნიშნული რისკები მოიცავს საბაზრო რისკს (ვალუტის რისკის ჩათვლით, საპროცენტო განაკვეთის რისკი და სხვა ფასების რისკი), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს.

კორპორატიული ხაზინა ყოველკვარტალურად წარუდგენს ანგარიშს საწარმოს რისკების მართვის კომიტეტს, დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც აკონტროლებს რისკებსა და რისკების შემცირებაზე მიმართულ პოლიტიკას.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გაანალიზება ხორციელდება სამართლიანი ღირებულების იერარქიით, შემდეგნაირად:

(i) პირველი საფეხური იზომება როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების და ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული რაოდენობის კვოტირებული ფასის პროდუქტი (ii) მეორე დონის შეფასება წარმოადგენს ისეთი შეფასების ტექნიკას, რომლის თანახმად, ყველა მატერიალური წყარო, რომელიც აკვირდება აქტივს ან ვალდებულებას, პირდაპირი (მაგ. ფასები), ან არაპირდაპირი გზით (ეს გამომდინარეობს ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები არის ისეთი შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება ბაზარზე დაკვირვებას დაქვემდებარებულ მონაცემებს (დაუცველი საშუალებები). მენეჯმენტი იღებს გადაწყვეტილებას ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციით შეფასებისას სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების შემთხვევაში, შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებას დაქვემდებარებული საშუალებები, რომლებიც საჭიროებენ მნიშვნელოვან კორექტირებას, რომ შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების შემადგენლების მნიშვნელობა ფასდება არსებული სამართლიანი ღირებულების შეფასებით მთლიანობაში.

შპს „არქიმედეს კლინიკა“

**ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

31 დეკემბერი 2024	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება
მოთხოვნები				
ფული და ფულის ქვევალენტები	9,935	-	-	9,935
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-	4,253	4,253
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	4,048,896	4,048,896
მთლიანი მოთხოვნები	9,935	-	4,053,149	4,063,084
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარა	682,214	-	-	682,214
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,277,711	-	-	5,277,711
მოკლევადიანი სესხები	739,815	-	-	739,815
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	779	-	-	779
მთლიანი ვალდებულებები	6,700,519	-	-	6,700,519
31 დეკემბერი 2023	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება
მოთხოვნები				
ფული და ფულის ქვევალენტები	68,217	-	-	68,217
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-	4,624	4,624
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	4,274,598	4,274,598
მთლიანი მოთხოვნები	68,217	-	4,279,222	4,347,439
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარა	1,322,834	-	-	1,322,834
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,628,009	-	-	4,628,009
მოკლევადიანი სესხები	984,885	-	-	984,885
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	-	-	-	-
მთლიანი ვალდებულებები	6,935,728	-	-	6,935,728

მე-2 დონისა და მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების იერარქია იყო მიახლოებითი, გამოთვლილი დისკონტირებული ფულადი ნაკადების ნებისმიერი შეფასების ტექნიკის გამოყენებით. მცურავი კურსის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის დადგენილი აქტიურ ბაზარზე, შეფასდა, რომ ტოლია მათი საბალანსო ღირებულებისა. არაკვოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მომავალი დაახლოებითი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რათა მიღებულ იქნას ფასდაკლება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებზე მსგავსი საკრედიტო რისკებითა და დარჩენილ ვადაში.

ფინანსური აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების სავარაუდო ფასებს, მსგავსი საკრედიტო რისკებითა და დარჩენილ ვადაში. ფასდაკლების გამოყენებული განაკვეთები დამოკიდებულია მეორე მხარის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო დებიტორული სახსრების, ფულადი სახსრებისა და ფულადი ექვივალენტების, შეზღუდული საბანკო ანაზრის და სხვა წინასწარი გადახდებისა და დებიტორული თანხების მიახლოებითი სამართლიანი ფასეულობების აღრიცხვის განხორციელებით.

ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

დადგენილი ვადის მქონე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება, რომლისთვისაც არ არის ხელმისაწვდომი ქვოტირებული საბაზრო ფასი, დაანგარიშდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც ფასდაკლებულია არსებულ საპროცენტო განაკვეთზე მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადით. სავაჭრო

გადასახდელების თანხის აღრიცხვა მიახლოებითი სამართლიანი ფასეულობებით მათი მოკლევადიანი ვადის გამო.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა მომხმარებლებმა, კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული კონტრაქტების, ასევე პროდუქტებისა და ვალუტების კონცენტრაციებისთვის, და რისკების ამ ლიმიტებთან დაცვის მონიტორინგით. გარდა ამისა, კომპანია აწესებს და რეგულარულად აკონტროლებს კრედიტის ვადებს დებიტორების ტიპების მიხედვით, რაც საკრედიტო რისკის მართვის პროაქტიული ხერხია. კომპანიამ შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რომ უზრუნველყოს კონტრაქტების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. ეს მოიცავს სესხის დაფარვისა და მისაღები დავალიანების ვადების სისტემატურ ანალიზს. კონტრაქტის ლიმიტების დადგენა ხდება კრედიტის პირობებთან ერთად. საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი კომპანიას საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი კომპანიას მიერ იმართება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით. ცხრილში წარმოდგენილია საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა და საკრედიტო ხარისხი აქტივის კლასის მიხედვით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
სავაჭრო მოთხოვნები	4,048,896	4,274,598
საბანკო ვალდებულება	(739,815)	(984,885)
სულ	3,309,081	3,289,713

საბაზრო რისკი

კომპანია იღებს პასუხისმგებლობას საბაზრო რისკზე. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან შემდეგ შემთხვევებში: (ა) უცხოური ვალუტა; (ბ) პროცენტის მატარებელი აქციები და ვალდებულებები და (გ) კაპიტალის პროდუქტები, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო მოძრაობებს. მენეჯმენტი განსაზღვრავს რისკების ღირებულებას, რომელთა დაკვირვება ყოველდღიურად ხდება. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ ახდენს საზღვრებს მიღმა ზარალის დადგომის პრევენციას, უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო მოძრაობის შემთხვევაში.

ქვემოთ მოყვანილი საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა ემყარება ფაქტორის ცვლილებას, რა დროსაც მუდმივად ინარჩუნებს ყველა სხვა ფაქტორს. პრაქტიკაში, ეს ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდეს და ზოგიერთ ფაქტორში შეიძლება შევიდეს ცვლილებები - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებები.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ისეთი რისკი, რომელიც იცვლება მცურავ საპროცენტო განაკვეთებში და უარყოფითად მოქმედებს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ საპროცენტო განაკვეთის მართვის მიზნით, ამავდროულად, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული წილი განისაზღვრება ფიქსირებული განაკვეთებით და, შესაბამისად, რისკი მცირდება.

შპს „არქიმედეს კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, როდესაც საწარმო განიცდის სირთულეებს საფინანსო ვალდებულებების შესრულების დროს. კომპანია დაუცველია ყოველდღიური ზარებისაგან მის ნაღდ რესურსებთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ მოძრავე პროგნოზს.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, პირველ რიგში, სესხებისაგან. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების რაოდენობას (შენიშვნა 8). მენეჯმენტის შეფასებით, ფულადი სახსრებისა და საბანკო დეპოზიტების პორტფელის ლიკვიდურობა, გარდა შეზღუდული ფულადი სახსრებისა, შეიძლება განხორციელდეს ნაღდი ანგარიშსწორებით, ერთი დღის განმავლობაში, გაუთვალისწინებელი მოთხოვნების ლიკვიდაციის მიზნით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია აქტივები და ვალდებულებები რეპორტირების თარიღის მდგომარეობით, დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის შესაბამისად.

31 დეკემბერი 2024	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
აქტივი			
- ფული და ფულის ეკვივალენტები	9,935	-	9,935
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,048,896	-	4,048,896
- სხვა მიმდინარე აქტივები	4,253	-	4,253
მთლიანი აქტივები	4,063,084	-	4,063,084
ვალდებულებები			
- სესხები	739,815	-	739,815
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,277,711	-	5,277,711
- სხვა მიმდინარე ვალდებულებები	779	-	779
მთლიანი ვალდებულებები	6,018,305	-	6,018,305
მთლიანი ლიკვიდურობა	(1,955,221)	-	(1,955,221)
31 დეკემბერი 2023	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
აქტივი			
- ფული და ფულის ეკვივალენტები	68,217	-	68,217
- მოთხოვნები მომსახურებიდან	4,274,598	-	4,274,598
- სხვა მიმდინარე აქტივები	4,624	-	4,624
მთლიანი აქტივები	4,347,439	-	4,347,439
ვალდებულებები			
- სესხები	984,885	-	984,885
- მოკლევადიანი ვალდებულებები	4,628,009	-	4,628,009
- სხვა მიმდინარე ვალდებულებები	-	-	-
მთლიანი ვალდებულებები	5,612,894	-	5,612,894
მთლიანი ლიკვიდურობა	(1,265,455)	-	(1,265,455)

დაფარვის ვადის ცხრილში ასახული თანხები არის არადისკონტირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის თანხის ანგარიშგება ემყარება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოური ვალუტის გადახდები იცვლება ადგილზე გაცვლითი კურსის გამოყენებით საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას კომპანიის მფლობელები ასრულებენ მათი საჭიროებების შესაბამისად, კომპანიის კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შესაბამისად. კომპანია მართავს მხოლოდ მისი კაპიტალის სტრუქტურას იმ სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად, სადაც კომპანია მოქმედებს.

საოპერაციო რისკი საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც კონტროლის მექანიზმები ეფექტურად არ ხორციელდება, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. კომპანია ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგითა და მათზე რეაგირებით, კომპანია ახერხებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურებს, თანამშრომლების განათლებისა და შეფასების პროცესებს და შიდა აუდიტის გამოყენებას.

18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც დადგენილია IAS 24 „დაკავშირებული მხარის გამჟღავნება“, წარმოადგენს:

შემდეგი ტრანზაქციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
მენეჯმენტის ხელფასები და ბონუსები	1,069,998	1,121,859
სულ	1,069,998	1,121,859

	მოთხოვნების ნაშთი	მოთხოვნების ნაშთი
	2,024	2,023
მშობელი კომპანია	1,104,462	1,104,462

	ვალდებულების ნაშთი	ვალდებულების ნაშთი
	2,024	2,023
მშობელი კომპანია	786,558	1,242,125

19. გაუთვალისწინებელი მოვლენები

სამართლებრივი პროცესები

თვითშეფასებებისა და შიდა პროფესიული რჩევების გათვალისწინებით, კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ არანაირი პრეტენზია არ გამოიწვევს მატერიალურ ზარალს და შესაბამისად, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იქნა განხორციელებული რაიმე დებულება ან გამჟღავნება.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას და ცვლილებებს, რომლებიც შეიძლება ხშირად განხორციელდეს. მენეჯმენტის მიერ ისეთი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება კომპანიის ტრანზაქციების

და საქმიანობის დროს, შეიძლება სადავო გახდეს შესაბამისი ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება უფრო დამაჯერებელი და დახვეწილი მიდგომა გამოიყენონ კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმებების ინტერპრეტაციაში და შესაძლებელია, რომ გარიგებები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში არ ყოფილა სადავად ქცეული - შეიძლება გასაჩივრდეს. შედეგად, შეიძლება დაკისრებულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტი თვლის, რომ მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია მიზანშეწონილია და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები უცვლელი დარჩება. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, არ ყოფილა დაფიქსირებული პოტენციური საგადასახადო ვალდებულებების არავითარი დებულება.

კაპიტალური ხარჯების ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრისათვის, კომპანიას არ აქვს განსაკუთრებული ვალდებულებები (2024 წლის 31 დეკემბერი: ნოლი).

20. მნიშვნელოვანი მოვლენები საანგარიშო თარიღის შემდგომ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებდა გამჟღავნებას.